

#4, 2020

სკოლის მართვა

ISSN 1512-0279
9 771512 027007 >



საგარეო ურთიერთობების
მინისტროს, ევროკავშირის
და სავაჭრო პარტნიორობის
სამსახური



მასწავლებელთა
ეროვნული
განვითარების
ეროვნული
ცენტრი

გია მურღულია

ეს ჩვენი ჟურნალის 2020 წლის ბოლო ნომერია. რა თქმა უნდა, არ იყო მარტივი წელიწადი – ყველა მიმართულებით (პოლიტიკა, ეკონომიკა, ჯანდაცვის სფერო, კულტურა) არაერთი გამოწვევა და პრობლემა დაგვიტოვა. მათ შორის, განათლებაშიც ბევრი დასაფიქრებელი და გასაკეთებელი დაგროვდა.

ამ მიმართულებით რეფორმის გატარება ურთულესი ამოცანა იყო ყოველთვის – მათ შორის იმ ქვეყნებშიც, რომლებსაც არც ფინანსური და არც ორგანიზაციული შესაძლებლობების დეფიციტი არ ჰქონიათ. პანდემიამ ეს სირთულე რამდენიმეგზის გაზარდა და თვისებრივად ახალი ნიუნსებით დახუნდა.

სკოლის მმართველები (ისევე, როგორც ყველა სხვა დონის მენეჯერები) იძულებულნი გახდნენ მართვის აქამდე არსებული პარადიგმა არსებითად შეეცვალათ, ურთიერთობის პრაქტიკულად დისტანციურ მოდელზე გადასულიყვნენ და, ყოველდღიურ გადაწყვეტილებათა მიღებისას, თვისებრივად განსხვავებული რეალობა გაეთვალისწინებინათ.

თანდათანობით შეიქმნა კიდევ სკოლის მართვის ახალ ვითარებაზე მორგებული კულტურა – ადამიანებმა ისწავლეს დისტანციური სწავლებისა და მართვის ანბანი და შექმნეს კიდევ საკუთარი პრაქტიკა. სკოლის საკმაოდ ბევ-



რი ხელმძღვანელი კარგად გაუმკლავდა ახალ გამოწვევებს. ახლა უკვე დროა, ეს პრაქტიკა (როგორც სხვათა, ისე საკუთარ გამოცდილებაზე დაფუძნებით) თეორიულადაც გავიზიაროთ და ყველა გონივრული გადაწყვეტილება და ალგორითმი ერთმანეთს გავუზიაროთ – ამით მხოლოდ გავაძლიერებთ სკოლებს და მეტი წარმატების შესაძლებლობას მივცემთ ჩვენს საერთო საქმეს.

როდესაც ყველაფერი ჩაივლის, ქართული სკოლა მეტი ცოდნითა და გამოცდილებით გააგრძელებს საკუთარ გზას პროგრესისკენ.

სკოლის მართვა

#4, 2020

გამომცემელი – მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
გამოცემა მოამზადა საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციამ.

საკონტაქტო ინფორმაცია:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

მისამართი:

თბილისი, სანდრო ეულის ქ. 5,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში
გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება,
შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების ეროვნული
ცენტრისა და ჟურნალის რედაქციის
შეხვედრებს. ცალკეულ სტატიებში
დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე
პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

მთავარი რედაქტორი:
გია მურღულია

სარედაქციო კოლეგია:

ბერიკა შუპაკიძე

განათლების დოქტორი; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორი

ნატალია ინგოროყვა

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი; მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრის საინფორმაციო-საგანმანათლებლო
და მეთოდური რესურსების პროგრამის მენეჯერი

არჩილ სუმბაძე

„ბაქსუდის საერთაშორისო სკოლა – თბილისის“ დირექტორი

ავთანდილ აბდუშელიშვილი

სკოლა „შავნაბადას“ დირექტორი

გიორგი გახელაძე

ევროპული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

გიორგი ჭანდუჩიძე

კოალიციის „განათლება ყველასათვის“ დირექტორი

კორექტორი:
მაია ნიკლაშვილი

დიზაინერი:
ბესიკ დანელია

ISSN 1512-0279

www.tpdc.ge

განათლების მართვა

3

გიორგი ჭანტურია

სკოლის მართვა დისტანციური სწავლებისას

9

მერი ქადაგიძე

პასუხი პანდემიას

13

თამარ კაპანაძე

პროექტის „დისტანციური სწავლების გზამკვლევი სკოლებისათვის“ შესახებ

პროფესიული განვითარება

17

გურამ სულაქველიძე

დირექტორთა პროფესიული განვითარების პროგრამები

21

ნინო გორდუზიანი

მასწავლებელთა ონლაინ პროფესიული განვითარება

ზოგადი განათლების მიზნები

25

მიხეილ იაშვილი

სკოლის როლი და გამოწვევები

განათლების ისტორია

25

ნინო გაგელიძე

განათლება ხვალისათვის

(EDUCATION FOR TOMORROW – JACQUES DELOR)

„მასწავლებლის ეროვნული ჯილდო“

35

თამარ გურგენიძე„მასწავლებლის ეროვნული ჯილდო“
– 2020 წლის კამპანიის შესახებ

ჰუმანიტარული განათლება

39

რეი ბრედბერისიკვდილი და ქალწული
თარგმნა ლია კილაძემ

გიორგი ჭანტურია

კოალიციის
„განათლება ყველასათვის“
დირექტორი



სკოლის მართვა დისტანციური სწავლებისას

ავტორი ინტერვიუს სახით წარმოგვიდგენს მიმდინარე წლის სკოლის ლიდერობის კონკურსის სამი გამარჯვებული დირექტორის მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს სკოლის მართვის შესახებ, დისტანციური სწავლების პირობებში.

2020 წლის 19 სექტემბერს სკოლის ლიდერობის ეროვნული კონკურსის დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. კონკურსის ბოლო ეტაპზე 10 ფინალისტი იყო გასული. ამ კონკურსის შესახებ ჟურნალში არაერთხელ დაიწერა, რადგან მისი უშუალო სამიზნე ჯგუფი სწორედ სკოლის დირექტორები იყვნენ, ხოლო მთავარი თემატიკა – სკოლების ეფექტიანი მართვა.

კონკურსი განათლების კოალიციის დაილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტნიორობით ხორციელდებოდა და მასში 3 გამარჯვებული გამოვლინდა. აქედან ერთ-ერთი გრან-პრის მფლობელი გახდა, ორი კი – სპეციალური პრიზის. ესენი არიან:

- **ლენა გომართელი** – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის №2 საჯარო სკოლის დირექტორი;
- **გელა მაჭარაშვილი** – საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კობოლულის N2 საჯარო სკოლის დირექტორი;
- **ვარდენ ნიქაბაძე** – მამია ფანცულაიას სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანეის N2 საჯარო სკოლის დირექტორი;

ეს სკოლები ბევრი მიმართულებით არიან გამორჩეული და აქვთ ძალიან საინტერესო პრაქტიკა. თუმცა, COVID19-ის პანდემიიდან გამომდინარე, საინტერესო არის ამ ადამიანების მოსაზრებები სასკოლო სისტემაში არსებულ გამოწვევებთან და გადაჭრის გზებთან დაკავშირებით. შესაბამისად, დავუკავშირდით თითოეულ მათგანს და, დისკუსიის რეჟიმში, რამდენიმე კითხვა დავუსვით ამ თემასთან მიმართებით.

თქვენი აზრით, რა გამოწვევებთან არის დაკავშირებული სკოლის მართვა დისტანციური სწავლების დროს?

ლენა გომართელი: რა თქმა უნდა, სასკოლო სისტემაში უამრავი პრობლემა გვქონდა და პანდემიამ გარკვეულწილად გაამწვავა ეს საკითხები. შევეცდები პუნქტობრივად გამოვყო თითოეული მათგანი. პირველი, ეს არის ხელმისაწვდომობის საკითხი. უამრავ მოსწავლეს არ აქვს წვდომა ინტერნეტსა და ტექნიკურ მოწყობილობებზე. ხშირ შემთხვევაში, ეს არის პრობლემა, რომლის მოგვარება სკოლას ყველაზე ნაკლებად შეუძლია.

მეორე, მასწავლებლებს არ აქვთ სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვის გამოცდილება. ამას ემატება ის, რომ მოსწავლეებშიც დაბალია მედია და ციფრული წიგნიერების დონე. მნიშვნელოვანი გამოწვევაა მშობლებთან დაკავშირებული პრობლემები. კონკრეტულად, მათ არ იციან როგორ დაეხმარონ შვილებს დისტანციური სწავლის დროს.

დაბოლოს, სკოლას არ აქვს დისტანციური სწავლების სასკოლო გეგმა, ასევე სხსმ მოსწავლეებისთვის ადაპტირებული სასკოლო გეგმა (ან თუ აქვს, ძალიან ფორმალურია და პრაქტიკაში ვერ ხორციელდება). დისტანციურ სასწავლო პროცესში სხსმ მოსწავლეების ინტეგრირება, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე რთული საკითხია აღნიშნული თემებიდან.

ვარდენ ნიქაბაძე: უპირველეს ყოვლისა, ეს არის სრულიად ახალი ტიპის, განსხვავებული სწავლება, რომლის გამოცდილება ნაკლებად თუ ჰქონდა ვინმეს. შეიძლება სუბიექტური ვარ, მაგრამ მე პირადად მრჩება შთაბეჭდილება, რომ დისტანციური სინქრონული სწავლებისთვის არა მარტო ქართული სკოლები, არამედ ტექნოლოგიური სერვისების მომწოდებელი კომპანიებიც არ იყვნენ მზად. ბუნებრივია, ბაზარზეც ნაკლებად ვითარდება ის

მიმართულება, რაზეც ნაკლები მოთხოვნაა. ნებისმიერ, ყველაზე დაბალი დონის თამაშზე დაკვირვებით შევნიშნავთ, რომ იქ ინტერაქციის გაცილებით მაღალი ხარისხია, ვიდრე სინქრონული სწავლების ნებისმიერ პლატფორმაზე. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად ვხედავთ, როგორ თანდათან, ჩვენს თვალწინ იხვეწება ეს სერვისები. ბოლო დროს ბევრი საუბრობს, რომ მასწავლებლები ნაკლებად ფლობენ ტექნოლოგიებს და, რბილად რომ ვთქვათ, ბევრი ვერ მეგობრობს კომპიუტერთან. ჩემი აზრით, ეს პრობლემა ყველაზე სწრაფად მოგვარებადია, ნაწილობრივ მოგვარდა კიდევ. ფორსმაჟორულ სიტუაციაში მასწავლებლებმა ისწავლეს დისტანციური ჩართვა, ეკრანის გაზიარება, პრეზენტაციების წარდგენა, ფაილების გაზიარება, ნაწილი ჯგუფურ მუშაობასაც კი ახერხებს მოსწავლეებთან დისტანციურად. მაგრამ პრობლემა სხვა მიმართულებით უფრო გამოიკვეთა. ეს არის არატექნიკური უნარ-ჩვევების ქონა, არამედ თავად ტექნოლოგიებისა და პედაგოგიური მეთოდების სწორად გამოყენება ამ ტიპის სწავლების დროს. იმის მიუხედავად, იყენებს თუ არა მასწავლებელი პლატფორმის შესაძლებლობებს, მოსწავლეები ძირითადად მაინც პასიურ მომხმარებლებად რჩებიან და აქაც პრობლემად გვევლინება გაკვეთილების ინტერაქტიულობის დაბალი დონე. ცხადია, ეს არ არის მასწავლებლების ბრალი. ე.წ. ონლაინ პედაგოგიკის განვითარებას, ალბათ, წლები სჭირდება, ამიტომ უმნიშვნელოვანესია ამ დროს მასწავლებლების მხარდაჭერა, გამოცდილების ურთიერთგაზიარება, პროფესიული განვითარების სხვა ღონისძიებების დაგეგმვა. კიდევ ერთი სერიოზული გამოწვევაა ფსიქოლოგიური პრობლემები. მოსწავლეები დაღალა ონლაინ სწავლების ამ ფორმამ, მათ ერთმანეთთან ურთიერთობა, თამაში, კომუნიკაცია უნდათ. ამ ეტაპზე ერთადერთი გამოსავალი, ალბათ, ისევ მაქსიმალურად საინტერესო და მრავალფეროვანი გაკვეთილების შეთავაზებაა.

სკოლებისთვის გამოწვევაა აგრეთვე, უარყოფით საინფორმაციო კამპანიასთან გამკლავება. ერთია, რა პრობლემები ახლავს დისტანციურ სწავლებას, მაგრამ, სამწუხაროდ, საზოგადოებაში, სოციალურ ქსელებში აქტიურად მიმდინარეობს დისტანციური სწავლების დისკრედიტაცია, ეს კიდევ უფრო ამძაფრებს არსებულ პრობლემებს. მშობლების ნაწილი მნიშვნელოვნად არ მიიჩნევს დისტანციურ გაკვეთილებზე დასწრებას. ამ პრობლემის დაძლევა სერიოზული საინფორმაციო



კომპანიის წარმოება სჭირდება სკოლის მხრიდან. ახალ რეალობაში განსხვავებულია სკოლის მართვის პროცესიც. რეალურ სივრცეში სკოლის ყველა პედაგოგმა, დირექციის წევრმა იცოდა სად, როდის, რომელ კლასებში ტარდებოდა გაკვეთილები, სასწავლო-საგაკვეთილო პროცესი იყო ხელშესახები. დირექტორს შეეძლო დაენახა სასწავლო პროცესის მიმდინარეობა როგორც მთლიანობაში, ასევე კონკრეტულ საკლასო ოთახში. დასვენებებზე მასწავლებლები სამასწავლებლოში დღის განმავლობაში მიღებულ გამოცდილებას და ემოციებს უზიარებდნენ კოლეგებს. საჭიროების შემთხვევაში, განიხილავდნენ კონკრეტული მოსწავლის პრობლემებს. ეხმარებოდნენ და მხარდაჭერას უცხადებდნენ ერთმანეთს. ერთ მშვენიერ დღეს კი – ყველაფერი ეს ერთი ხელის მოსმით გაქრა. ერთი შეხედვით, მასწავლებლები

სრულიად მარტო დარჩნენ საკუთარი კლასების წინაშე. სწორედ ამ დროსაა მნიშვნელოვანი ორგანიზაციული მთლიანობა, ორგანიზაციის ძლიერი მხარეების გამოყენება პრობლემების დაძლევისათვის.

გელა მაჭარაშვილი: პირველი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რის წინაშეც ვირუსის შემდგომ დავდექით, იყო მკაფიო და არაორაზროვანი ინსტრუქციების არარსებობა საგანგებო მდგომარეობაში სკოლის პერსონალის, მშობლებისა და მოსწავლეების უფლება-ვალდებულებების თაობაზე. შემდეგ თავი იჩინა მოსწავლეთა და მასწავლებელთა ხელმისაწვდომობის პრობლემამ ინტერნეტსა და შესაბამის ხელსაწყოებზე (კომპიუტერი, მობილური ტელეფონი, პლანშეტი). სამწუხაროდ, არსებული მძიმე სოციალური ფონის გამო, მოსწავლეთა მნიშვნელოვან ნაწილს აღნიშნულზე წვდომა არ ჰქონდა. დისტანციური

სწავლების პროცესის ერთ-ერთი ძირითადი დამაბრკოლებელი ფაქტორი იყო ტექნიკური და ციფრული კომპეტენციების ნაკლებობა როგორც მასწავლებლებში, ასევე მოსწავლეებსა და მშობლებში. განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა მოსწავლეთა მოტივირება, „კლასის“ მართვა, გაკვეთილების სწორად დაგეგმვა, შეფასება. ამავე დროს, მოსწავლეების და მშობლების ნაწილსაც არ ჰქონდა საკმარისი კომპეტენცია დამოუკიდებლად ემართა ესა თუ ის პროგრამა; შესაბამისად, ზოგჯერ გვიწევდა უფრო მარტივ პლატფორმაზე გადასვლა ან დეტალური ინსტრუქციების მომზადება; იკარგებოდა მნიშვნელოვანი დრო და ენერგია. პრობლემა იყო ისიც, რომ ნაკლებად იყო ხელმისაწვდომი ონლაინ საგანმანათლებლო რესურსები და დამხმარე მასალები. ამასთან ერთად, მასწავლებლებს სჭირდებოდათ დამატებითი ინსტრუქციები და რეკომენდაციები სასწავლო პროცესის წარმართვის, მოსწავლეთა შეფასების თუ არსებული ელექტრონული რესურსებისა და პლატფორმების სწორად ასათვისებლად. ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა იყო ჩვენთვის მოსწავლეთა შეფასების კომპონენტი და სამინისტროს მხრიდან პოზიციებისა და ინსტრუქციების ცვალებადობა ამ კომპონენტთან დაკავშირებით.

როგორ ფიქრობთ, კონკრეტულად რა ნაბიჯები უნდა გადადგას სკოლამ ამ პრობლემების მოგვარებისა და მოსწავლეებისთვის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის მიზნით?

ლენა გომართელი: მე ვფიქრობ, რამდენიმე ფაქტორი უნდა იყოს გათვალისწინებული:

1. სკოლამ უნდა შექმნას ალტერნატიული კურიკულუმი დისტანციური სასწავლო პროცესისთვის, ასევე, სსსმ მოსწავლეებისთვის;
2. მასწავლებლებმა უნდა გაიარონ დისტანციური სასწავლო პროცესის მართვის კურსი, რომლის ბოლოს უნდა მოხდეს მათი შეფასება. შეფასების საფუძველზე, დირექციამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, აქვს თუ არა ამა თუ იმ მასწავლებელს სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვის უნარ-ჩვევები.
3. მოსწავლეებისთვის უნდა შემუშავდეს მოსწავლის ეთიკის კოდექსი დისტანციური სასწავლო პროცესის პირობებში.



4. მშობლები კარგად უნდა იცვნენ ინფორმირებული ზემოთ აღნიშნული პროცესების შესახებ.
5. სკოლამ უნდა შექმნას დისტანციური სწავლების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა.
6. სასკოლო გეგმაში მკაფიოდ უნდა იყოს გამიჯნული სინქრონული და ასინქრონული სწავლების ელემენტები.
7. დისტანციურ რეჟიმში უნდა ფუნქციონირებდნენ მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფები, რომლებიც სასწავლო პროცესში კონკრეტული პრობლემების გამოკვეთასა და მოგვარებაზე იმუშავენ.
8. უნდა შეიქმნას მხარდაჭერი ჯგუფები იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც აკადემიურად ჩამორჩებიან ან/და კონკრეტულად დისტანციურ პროცესში რაიმე პრობლემები აქვთ.
9. სკოლამ უნდა შესთავაზოს მოსწავლეებს ფსიქოლოგის და ექიმის სისტემატური კონსულტაციები.
10. დისტანციურ პროცესში უნდა დაინერგოს არაფორმალური განათლების ელემენტებიც.

ბატონო ვარდენ, თქვენ რას დაამატებდით ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებს? აქვე, რა რეკომენდაციებს მისცემდით კოლეგებს?

ვარდენ ნიჭაბაძე: ზოგადად, ცალკე აღებული ვერცერთი ტრენინგი, რეფორმა ვერ მოიტანს შედეგს სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების ღონისძიებების განხორციელების გარეშე. მნიშვნელოვანია სკოლის ბაზაზე საერთო სასკოლო პროექტების განხორციელება. ხარისხიანი განათლებისთვის მნიშვნელოვანია აგრეთვე, მასწავლებელთა შეფასებისა და მხარდაჭერის სისტემის ამოქმედება. კარგია რომ სქემის ბოლო ცვლილება პრაქტიკაში ამ მექანიზმის დანერგვას ითვალისწინებს.

რაც შეეხება რეკომენდაციებს, ჩემს კოლეგებს – სკოლის დირექტორებს ვურჩევ მეტი ყურადღება გამოიჩინონ ონლაინსწავლების ორგანიზებაზე და მის პოპულარიზაციაზე. დაარწმუნონ მშობლები და მოსწავლეები ამ ფორმატის აუცილებლობასა და საჭიროებაში, რადგან ამ პირობებში ონლაინსწავლება სასწავლო პროცესის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად რჩება; დიდი დრო დაუთმონ პედაგოგების გახსენებას და მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობას.

ბატონო გელა, უფრო კონკრეტულად რომ გვითხრათ, თქვენმა სკოლამ რა გააკეთა ამ პრობლემებზე საპასუხოდ? თქვენ რას ურჩევთ კოლეგა დირექტორებს?

გელა მაჭარაშვილი: ახალი კორონა ვირუსის ფონზე განვითარებული პანდემიის პირობებში, მსოფლიოს ყველა ქვეყანას და საქართველოსაც შეექმნა კრიზისული სიტუაცია, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, მათ შორის, კორბოულის N2 საჯარო სკოლაც დაიხურა დროებით, განუსაზღვრელი ვადით. მოსწავლეებისა და სასკოლო პერსონალის გადაადგილება, ერთმანეთთან კონტაქტი იყო საფრთხის შემცველი; ქვეყანაში მოქმედებდა საგანგებო მდგომარეობა, პარალიზებული იყო მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მომსახურების სფერო და თითქმის ყველა დარგი, სახელმწიფო ორგანოების უმრავლესი ნაწილი გადავიდა დისტანციური მუშაობის რეჟიმზე.

სკოლის ძირითადი ფუნქციებისა და მიზნების შესრულება კითხვის ნიშნის ქვეშ მოექცა. ასეთ პირობებში ჩვენ, კორბოულის N2 საჯარო სკოლის ადმინისტრაცია, ვერ ვიქნებოდით უმოქმედო მდგომარეობაში, ვერ დაველოდებოდით ზემდგომი ორგანოებიდან კონკრეტულ ინსტრუქციებს და გამოსავლის მზა რეცეპტებს. იმისათვის, რომ არ მომხდარიყო სასწავლო პროცესის წყვეტა, ბავშვები არ ჩამოცილებულიყვნენ სკოლას, არ გამწყდარიყო ცოდნის მიღების, უნარ-ჩვევების განვითარებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბების უწყვეტი ჯაჭვი, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, შეგვექმნა კრიზისის მართვის ჯგუფი, რომელმაც, შემუშავებული გეგმის მიხედვით, კოორდინაცია გაუწია სასკოლო თემის მოქმედებას, კერძოდ: შევქმენით ე.წ. ციფრული სკოლა – საკლასო დანაყოფები თიმის პლატფორმაზე, მასწავლებლებს მივეცით დამატებითი ინსტრუქციები და რეკომენდაციები სასწავლო პროცესის წარმართვის, მოსწავლეთა შეფასებისა თუ არსებული ელექტრონული რესურსებისა და პლატფორმების სწორად გამოსაყენებლად. დავეხმარეთ მასწავლებლებს, მოსწავლეებს კომპიუტერული ტექნიკით, ინტერნეტით, ტელესკოლაზე წვდომით; მოხერხდა სასწავლო პროცესის წარმართვა მოდიფიცირებულ რეჟიმში; დაიწყო მოსწავლეების ჩართვა დისტანციურ სწავლებაში კლასების მიხედვით. შეიქმნა სკოლის დისტანციური სწავლების პროცესის ამსახველი ბლოგი, სა-



დაც განთავსდა დისტანციური გაკვეთილების ცხრილი, პედაგოგთა მოდიფიცირებული გეგმები კათედრების მიხედვით, ელექტრონული სასწავლო რესურსები, მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ შექმნილი სასწავლო რესურსები, ჩატარებული გაკვეთილების ვიდეოჩანაწერები. კრიზისის მართვის ჯგუფი რეგულარულად აწყობდა დისტანციურ შეხვედრებს პედაგოგებთან, მოსწავლეთა მშობლებთან.

რაც შეეხება რეკომენდაციებს, ჩემს კოლეგა დირექტორებს ვურჩევ გაცნონ კარგი პრაქტიკის მაგალითებს და დაეუფლონ კრიზისების მართვის სტრატეგიებს. რაც შეეხება სისტემის დონეზე გასათვალისწინებელ საკითხებს, მე ვფიქრობ:

1. უნდა მოხდეს მასწავლებლების გადამზადება ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების მხრივ; უნდა შემუშავდეს რეკომენდაციები მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების შესახებ.
2. სასკოლო სასწავლო გეგმა უნდა შემუშავდეს ისე, რომ მზად ვიყოთ მომავალი სასწავლო წლის დაწყების ყველანაირი სცენარისთვის, როგორც ელექტრონული სწავლებისათვის, ისე საკლასო ოთახებში სწავლებისთვის ან შერეული სისტემისთვის.
3. მოხდეს სასწავლო გეგმის განტვირთვა, შემცირდეს გაკვეთილების ხანგრძლივობა, გათვალისწინებული იყოს შესვენებები, მასწავლებლების მიერ წინასწარ მომზადდეს სახელმძღვანელოებში მითითებული თემების დავალებები, რომელიც იქნება უფრო სახალისო და შემოქმედებითი. მაქსიმალურად უნდა ჩავრთოთ ყველა მოსწავლე საგაკვეთილო პროცესში და მივა-

ღებინოთ მონაწილეობა კომპლექსური დავალებების შესრულებაში.

4. სასურველია, სკოლებში დარჩეს შერეული სისტემა, რათა ანალოგიურ სიტუაციაში არ აღმოვჩნდეთ ისევ მოუმზადებლები. მოხდეს დავალებების ელექტრონულად გადაგზავნა და უკუკავშირის მიცემა.
5. გამოირიცხოს სოციალური ქსელის მოხმარება

სასკოლო სასწავლო გეგმის დისტანციური სწავლების ნაწილში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს დისტანციური გაკვეთილების დაწყებისა და დასრულების დრო, დისტანციური გაკვეთილების ცხრილი, შესვენებების ხანგრძლივობა, მოსწავლეთა შორის თავისუფალი ურთიერთობებისათვის განსაზღვრული პერიოდი. ასევე, უნდა გაიწეროს მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის მშობლებთან კომუნიკაციის პერიოდულობა და მექანიზმები. სასურველია, დისტანციური სწავლების პლატფორმები გამოყენებულ იქნას ჩვეულებრივ პირობებშიც. უნდა მოხდეს ყველა ჩატარებული ონლაინგაკვეთილის ვიდეოჩანაწერა და ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ, შემთხვევითი შერჩევის რეჟიმში, გაანალიზება (შესაძლოა კათედრაზეც).

კარგი იქნება, დავალებები მოსწავლეებს მიეწოდებოდეს დისტანციურად და ასევე, დისტანციურად უბრუნდებოდეს მოსწავლეს უკუკავშირი; გაგრძელდეს პლატფორმაზე ქვიზების გამოყენება და ამ ფორმით შემაჯამებელი სამუშაოების განხორციელება; მასწავლებლებმა მოსწავლეებს აუტვირთონ პრეზენტაციები, მიუთითონ ფილმების ბმულები, საკითხავი მასალა, გამოიყენონ სასწავლო თამაშები. მოსწავლეებს მიეცეთ გარკვეული დრო და რესურსი კონკრეტული თემებისა და საკითხების დასამუშავებლად. შემდეგ მოახდინონ თვითშეფასება – რა გამოუვიდათ კარგად, რა გაუჭირდათ და ა. შ.. ეს პროცესი მოსწავლეს დაეხმარება გამოიმუშაოს დროის მართვისა და თვითსწავლის უნარი.

ბუნებრივია, ეს არ არის საყოველთაო რეკომენდაცია და ვერ გვექნება პრეტენზია, რომ აქ გამოთქმული მოსაზრებები ყველა კონტექსტს და სიტუაციას მოერგება. თუმცა, მიგვაჩნია, რომ სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და მასწავლებლებისათვის სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები საინტერესო და დამაფიქრებელი იქნება.

მერი ქადაგიძე

განათლების კოალიციის
პროექტების
კოორდინატორი



პასუხი პანდემიას

მერი ქადაგიძეს მიღებული აქვს განათლების ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2018 წლიდან მუშაობს განათლების კოალიციაში. ავტორია არაერთი კვლევისა და პოლიტიკის დოკუმენტისა. სტატიაში განხილულია ის გამოწვევები, რაც COVID-19-მა წარმოშვა ან გაამძაფრა სასკოლო განათლების სისტემაში. რაც მთავარია, წარმოდგენილია ის რეკომენდაციები, რისი შესრულებაც მნიშვნელოვანია მოცემულ გამოწვევებზე საპასუხოდ.

2020 წელი მნიშვნელოვანი გამოწვევებით დაიწყო. მსოფლიო ახალ პანდემიასთან, კოვიდ-19-თან ბრძოლაში ჩაება. სხვა მნიშვნელოვან პრობლემებთან ერთად, ზიანი მიაღება სასკოლო განათლების სისტემასაც. მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული პოზიტიური ნაბიჯებისა, როგორც არის Microsoft Teams-ზე ხელმისაწვდომობის მიცემა სკოლებისათვის და ტელეკოლის პროექტის შემუშავება და ამოქმედება, სისტემური პრობლემები კვლავ გადაუჭრელია. მათ შორის არის ხელმისაწვდომობის, მასწავლებელთა კომპეტენციის, საგანმანათლებლო რესურსების სიმწირის და სხვა სახის პრობლემები. არანაკლებ მნიშვნელოვანია პანდემიის შედეგად მიღებული მძიმე ფსიქოლოგიური ეფექტი, სოციალურ-ემოციური და აკადემიური ჩამორჩენა მოსწავლეებში.

ახალი სასწავლო წლისათვის მნიშვნელოვანია ყველა ზემოხსენებული გამოწვევისა და სკოლების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება და მათზე შესაბამისი რეაგირება.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით, ამ პერიოდში, სკოლებმა და გადაწყვეტილების მიმღებმა დაწესებულებებმა უნდა გაითვალისწინონ რამდენიმე ძირითადი საკითხი:

1. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ჯანდაცვის ეფექტიანი რეგულაციების შემოღება და უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს შექმნა მასწავლებელთა და მოსწავლეათვის;
2. ამასთან ერთად, აუცილებელია მასწავლებელთა მხარდაჭერა ფსიქოლოგიური და სოციალურ-ემოციური კუთხით;
3. ასევე მნიშვნელოვანია, რომ დაცული და გათვალისწინებული იყოს როგორც მასწავლებელთა, ასევე ადმინისტრაციის წარმომადგენელთა და სხვა დამხმარე პერსონალის შრომითი უფლებები;
4. სასწავლო პროცესში აუცილებელია ხარისხის მართვისა და ეფექტიანი მონიტორინგის სისტემის არსებობა;

აღნიშნული საკითხების განხილვისას, აუცილებელია საზოგადოებრივი დიალოგის არსებობა დაინტერესებულ მხარეებთან. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა მხარის (მასწავლებლების, მშობლების, განათლების სპეციალისტების, საზოგადოებრივი, სათემო და დონორი ორგანიზაციების, მოწყვლადი და მარგინალიზებული ჯგუფების) ჩართულობა.

მოკლედ დისტანციური სწავლების შესახებ:

დისტანციური სწავლება მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება საქართველოს ზოგადი განათლების სისტემისათვის. პრობლემა გამოიხატება როგორც მასწავლებელთა კომპეტენციის, ასევე ინტერნეტსა თუ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის კუთხით. სამწუხაროდ, ოჯახებს შორის რესურსებზე ხელმისაწვდომობის მხრივ არსებული უთანასწორობა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და გადაუჭრელი პრობლემაა. წიგნიერების საერთაშორისო კვლევა PIRLS-2016-ის მიხედვით, ონლაინსწავლების წარმართვა და ონლაინრესურსების გამოყენება მასწავლებლების/სკოლების მაქსიმუმ მეხუთედს შეუძლია. მეოთხეკლასელთა შედეგების მიხედვით, ქალაქის სკოლების მოსწავლეთა 5%-ზე ნაკლებს აქვს წვდომა ციფრულ მოწყობილობებზე მაშინ, როდესაც სოფლად მცხოვ-

რებ მოსწავლეთა მეხუთედს არ აქვს ინტერნეტი ან კომპიუტერი და არც კითხვისთვის განკუთვნილი ციფრული მოწყობილობა მოეპოვებათ.

უთანასწორობა გვხვდება საგანმანათლებლო რესურსების განაწილების კუთხითაც. ქალაქში მდებარე კერძო სკოლების მოსწავლეთა მესამედს (31.18%) სახლში ბევრი რესურსი აქვს მაშინ, როდესაც სოფლად მდებარე საჯარო სკოლების მოსწავლეთა მხოლოდ 3.6%-ს მიუწვდება ხელი ანალოგიური მოცულობის რესურსებზე.

2020 წლის 9 სექტემბერს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიხედვით ჩხენკელის №95/ნ ბრძანების საფუძველზე, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესი და პირობები დამტკიცდა. ბრძანებით განისაზღვრა დისტანციური, შერეული და ჰიბრიდული სწავლების ფორმები, მექანიზმები და სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები¹.

ძირითადი რეკომენდაციები:

როგორც ზემოთ არის აღნიშნული, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულია არაერთი საინტერესო დოკუმენტი სახელმწიფოებისა და საგანმანათლებლო თემის მხარდასაჭერად, COVID-19-ით გამოწვეული პრობლემების პირობებში. სასიხარულოა, რომ არაერთ ადგილობრივ ორგანიზაციას აქვს შემუშავებული პოლიტიკის დოკუმენტები და შესაბამისი მიგნებები და რეკომენდაციები. მათ შორის არის განათლების კოალიციის მიერ მომზადებული დოკუმენტი „რა უნდა გაითვალისწინოთ 2020-2021 აკადემიური წლისათვის.“ გთავაზობთ დოკუმენტში წარმოდგენილ რეკომენდაციებს:

1. შემუშავდეს დისტანციური სწავლებისადმი დიფერენცირებული მიდგომის პოლიტიკა და სკოლების მახასიათებლებიდან (მდებარეობა, ინფრასტრუქტურული მდგომარეობა, მოსწავლეთა კონტიგენტი და სხვა) გამომდინარე, შეიქმნას განსხვავებული პოლიტიკის ინსტრუმენტები განსხვავებული სკოლებისათვის. მოცემული პოლიტიკა უნდა ფარავდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ეპიდემიის გავრცელების სხვადასხვა სცენარებზე რეაგირების მექანიზმები განსხვავებული ტიპის სკოლებისათვის.

2. შეიქმნას დისტანციური სწავლების მართვის გზამკვლევი დარეკომენდაციების სკოლის ადმინისტრაციისათვის. გაიწეროს კონკრეტული რჩევები და რეკომენდაციები სასწავლო პროცესის დაგეგმვის, წარმართვის, ხარისხის კონტროლისა და შეფასების მიმართულებით. მოცემულ დოკუმენტზე დაყრდნობით, თითოეულმა სკოლამ, საკუთარი სპეციფიკის გათვალისწინებით, უნდა მოახდინონ სასკოლო სასწავლო გეგმის მოდიფიცირება და მასში დისტანციური სწავლების მიმართულების დამატება. სასკოლო სასწავლო გეგმის დისტანციური სწავლების ნაწილში მკაფიოდ უნდა იყოს გაწერილი ყველა ტექნიკური, საორგანიზაციო, შინაარსობრივი დეტალი და მათი შესრულების მონიტორინგის მექანიზმები. უნდა მოხდეს სასკოლო სასწავლო გეგმის ხსენებული ნაწილის შესახებ მოსწავლეების,

მშობლებისა და სასკოლო თემის ყველა სხვა წევრის მაქსიმალურად ინფორმირება.

3. სასკოლო სასწავლო გეგმის დისტანციური სწავლების ნაწილში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს დისტანციური გაკვეთილების დაწყებისა და დასრულების დრო, დისტანციური გაკვეთილების ცხრილი, შესვენებების ხანგრძლივობა, მოსწავლეთა შორის თავისუფალი ურთიერთობებისათვის განსაზღვრული პერიოდი. ასევე, უნდა გაიწეროს მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის მშობლებთან კომუნიკაციის პერიოდულობა და მექანიზმები.

4. სკოლის ადმინისტრაციას უნდა ჰქონდეს მაქსიმალური წვდომა დისტანციური სწავლების პლატფორმების სტატისტიკაზე და ყველა იმ მონაცემზე, რომელიც ინფორმაციას იძლევა პროცესის წარმართვის ეფექტიანობაზე.



დისტანციური სწავლების პროცესის მონიტორინგის პრინციპებისა და მექანიზმების შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს სასკოლო თემის ყველა წევრს.

5. დისტანციური სწავლების პლატფორმების გამოყენებასთან დაკავშირებულ ტრენინგებთან ერთად, უნდა შემუშავდეს გზამკვლევები და ტრენინგმოდულები დისტანციური სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით და გავრცელდეს საუკეთესო პრაქტიკები. მასწავლებლებს მკაფიოდ უნდა განემარტოთ, როგორ უნდა მოხდეს ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა დისტანციური სწავლების გამოყენებით.
6. მნიშვნელოვანია აქტიური მუშაობა მშობელთა პედაგოგიზაციისა და მათთვის დამხმარე რესურსების შექმნის კუთხით. ამ მხრივ, აუცილებელია გარე აქტორების მონაწილეობა დაგეგმარებისა და განხორციელების პროცესებში.
7. შეიქმნას დამხმარე ციფრული რესურსები (სახელმძღვანელოები, თვალსაჩინოებები, დავალებები, დამატებითი რესურსები) მასწავლებელთათვის. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია სასწავლო პლატფორმის (LMS) შემუშავება და მის განვითარებაზე ზრუნვა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული მხარისათვის.
8. მნიშვნელოვანია კერძო ინიციატივების წახალისება ხელმისაწვდომობის გაზრდის კუთხით, იქნება ეს ინტერნეტზე წვდომა თუ მოწყობილობებით უზრუნველყოფა. ამ მხრივ, შესაძლოა შესაბამისი კამპანიების წარმოება.
9. მნიშვნელოვანია თანამშრომლობა კერძო პროვაიდერებთან, ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, მაგ., სასკოლო ინტერნეტ პაკეტების შექმნა, სტიპენდიების დაწესება და ა.შ..
10. შემუშავდეს მკაფიო სტრატეგია სკოლის ადმინისტრაციული პერსონალისათვის შრომითი პირობების გაუმჯობესების კუთხით. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია შრომითი პირობების გადახედვა დამლაგებლების, ექიმების, ფსიქოლოგებისა თუ სხვა მომიჯნავე კადრებისათვის.

გარდა ამისა, World Vision საქართველოს მიერ მომზადებულია პრაქტიკული გზამკვლევი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის. პირადი გამოცდილე-

ბის საფუძველზე, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა, რაც სკოლებს აქვთ, არის ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფა დასაქცილური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა სრულყოფილი ინტეგრირება საგანმანათლებლო პროცესებში. სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციასთან ერთად, დოკუმენტი ვრცლად განიხილავს ამ მიმართულებას და წარმოადგენს კონკრეტულ რეკომენდაციებს და სამოქმედო გეგმას სასკოლო საზოგადოებისათვის.

გზამკვლევში გაანალიზებულია სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და განხორციელების საკვანძო საკითხები როგორც დასწრებულ სწავლებაზე დაბრუნების, ასევე დისტანციური სწავლების შემთხვევაში, იქნება ეს სრულად ელექტრონული, ონლაინ, ასინქრონული თუ ჰიბრიდულად წარმართული სასწავლო პროცესი.²

დოკუმენტის გასაცნობად შეგიძლიათ ეწვიოთ
World Vision საქართველოს ოფიციალურ გვერდს
www.wvi.org/georgia/საქართველო,
ასევე – ვებგვერდს www.bavshvebistvis.org.ge

სკოლის
მართვა

შენიშვნები:

¹ „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №95/ნ ბრძანება (თბილისი, 9 სექტემბერი, 2020).

² საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესი.

თამარ კაპანაძე

პროექტის „დისტანციური
სწავლების გზამკვლევი
სკოლებისათვის“
ხელმძღვანელი,
თბილისის კლასიკური
გიმნაზიის დირექტორი



პროექტის „დისტანციური სწავლების გზამკვლევი სკოლებისათვის“ შესახებ

ქართული საგანმანათლებლო სისტემის დისტან-
ციურ სასწავლო ფორმატზე გადასვლის პირობებში,
„საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოცი-
აციაში“ გაჩნდა გზამკვლევის შექმნის იდეა სკოლის
დირექტორების, პედაგოგების, მშობლებისა და სხვა
დაინტერესებული საგანმანათლებლო სუბიექტები-
სათვის. აღნიშნული გზამკვლევის მნიშვნელობასა
და ეფექტურობას განიხილავს ავტორი წინამდებარე
ნერილში.

გლობალურ პანდემიასთან დაკავშირებულმა პრო-
ცესებმა ქართული ზოგადსაგანმანათლებლო სისტემა
ახალი გამოწვევის წინაშე დააყენა. სკოლებს უმოკლეს
ვადაში დასჭირდათ გადაწყობა ტრადიციული სასკოლო
გარემოდან ვირტუალურ სასწავლო ფორმატზე. მიუხედა-
ვად იმისა, რომ უცხოეთის ბევრ ქვეყანაში ასეთი პრაქტიკა
დიდი ხანია არსებობს, ქართული საზოგადოებისათვის ის
სრული ფორსმაჟორი აღმოჩნდა.

სახელმწიფოს თუ კერძო სექტორის მცდელობებისა
და ჩატარებული ღონისძიებების ნუსხა საკმაოდ მრავალ-
ფეროვანია როგორც შინაარსობრივი და ტექნიკუ-
რი, ისე ხარისხობრივი თვალსაზრისით. საზოგადოების
სხვადასხვა ჯგუფის გამოხმაურებაც არაერთგვაროვანია.
დისტანციურ სწავლებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით
სახელმწიფოს სამუშაო ბევრი აქვს; არანაკლებ მნიშვნე-
ლოვან გამოწვევად გამოიკვეთა ზოგადსაგანმანათლებ-
ლო დაწესებულებების მზაობა ამ პროცესის სწორი და
ხარისხიანი მართვის თვალსაზრისითაც. ფაქტია, რომ გა-
ნათლების თანამედროვე პარადიგმაში მნიშვნელოვნად

გაიზარდა ე.წ. „შერეული სწავლების“ (blended learning) როლიცა და ხვედრითი წილიც. პანდემიის ტალღის გადავლისა თუ განმეორების მიუხედავად, განათლების სისტემაში სწავლა-სწავლების დისტანციურმა მოდელმა უფრო აქტიურად დაიწყო დამკვიდრება და ეს პროცესი შეუქცევადი იქნება, მით უმეტეს, რომ მსოფლიოს ყველაზე წარმატებულ საგანმანათლებლო სისტემებში დისტანციური განათლების ფორმები სულ უფრო და უფრო სწრაფად ვითარდებოდა პენდემიამდეც.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, კიდევ უფრო მწვავედ გამოიყურება ქართული საგანმანათლებლო დაწესებულებების მზაობის მაჩვენებლები დისტანციური სწავლების რეჟიმისათვის. ეს ეხება როგორც სწავლა-სწავლებას, ისე მშობლებთან კომუნიკაციას, ტექნიკურ გამართულობას და, ზოგადად, მთელი პროცესის ადმინისტრირებას. სკოლის დირექტორებისთვის კი, ცალკეული ვებინარებისა და ზოგადი რეკომენდაციების გარდა, არ არსებობს ერთიანი რესურსი, რომელიც კონსოლიდირებულად მიაწვდიდა

მათ ინფორმაციას დისტანციური სწავლების სამართავად გადასადგმელი კონკრეტული ნაბიჯების შესახებ.

სწორედ ამიტომ, სკოლის დირექტორების, პედაგოგების, მშობლებისა და სხვა დაინტერესებული საგანმანათლებლო სუბიექტებისათვის გზამკვლევის შექმნის ინიციატივით და ამ პროექტის დაფინანსების მიზნით, „საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციამ“ მიმართა „გუდავადე-პატარკაციშვილის“ ფონდს.

პროექტი გულისხმობს ქართული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობას დისტანციური სწავლების ეფექტურად და ეფექტიანად მართვაში, საუკეთესო გამოცდილებათა თავმოყრას როგორც საქართველოს, ისე უცხოური ქვეყნების მაგალითზე და სკოლის ადმინისტრატორებისათვის პრაქტიკული/კონკრეტული რეკომენდაციებისა და ინსტრუქციების გაზიარებას.

ფონდმა, რომლის ძირითადი მისიაა ხელი შეუწყოს ქვეყანაში განათლების სისტემის განვითარებას, განათლების ხარისხის ამაღლებას და მისი ხელმისაწვდომო-



ბის გაზრდას, რა თქმა უნდა, ფინანსური მხარდაჭერა გამოუცხადა პროექტს.

გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის მიერ 2017-2020 წლებში დაფინანსდა 20 პროექტი, რომელთა ჯამური ბიუჯეტი აჭარბებს 1.6 მლნ ლარს. ფონდის გრანტიორები არიან: „საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტი“, კოალიცია „განათლება ყველასათვის – საქართველო“, ათასწლეულის ფონდი და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, ინგლისურად მოსაუბრეთა კავშირი. გარდა ამისა, კოალიციისთვის გაცემული გრანტების ფარგლებში, დაფინანსდა: ორგანიზაცია „მშობლები განათლებისთვის“, პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციისა და სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტი.

მომავალი მასწავლებლების წახალისების მიზნით, 2020-2021 სასწავლო წლიდან, ფონდი სასტიპენდიო პროგრამას ახორციელებს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო, გორის სასწავლო და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტებში.

პროექტი „დისტანციური სწავლების გზამკვლევი სკოლებისათვის“ ექვსთვიანია. მან სტარტი აიღო მიმდინარე წლის 15 სექტემბერს და დასრულდება 2021 წლის 15 მარტს. „საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციამ“ 15 სექტემბრიდან აქტიური მზადება დაიწყო დასახული ამოცანების განსახორციელებლად.

პროექტის ამოცანებია:

- დისტანციური სწავლების განვლილი პროცესის კვლევა;
- დისტანციური განათლების ადმინისტრირების სახელმძღვანელოს შედგენა;
- დისტანციური განათლების ადმინისტრირების სახელმძღვანელოს პილოტირება, რეცენზია და განახლება;
- დისტანციური განათლების ადმინისტრირების სახელმძღვანელოს გამოცემა ბეჭდური სახით და პრეზენტაცია.
- დისტანციური განათლების ადმინისტრირების სახელმძღვანელოს უფასოდ გადაცემა საქართველოს ყველა



საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის, საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და სხვა დაინტერესებული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის.

პროექტის განხორციელების პირველ, კვლევით ეტაპზე პროექტის სამუშაო ჯგუფმა გამართა ღია სადისკუსიო შეხვედრები დისტანციური სწავლების პროცესში გამოკვეთილი გამოწვევების, საჭიროებების, მიღწევებისა და ინოვაციების იდენტიფიცირებისა და თავმოყრისათვის. შეხვედრები გაიმართა სკოლების ადმინისტრატორებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და სფეროს ექსპერტებთან როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონებში. ასოციაციას აქტიურად დაუჭირა მხარი არასამთავრობო ორგანიზაციამ „მშობლები განათლებისათვის“, მშობლებთან კომუნიკაციის ნაწილში. პარალელურად, პროექტის სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა საერთაშორისო გამოცდილება ბემოალნიშნული მიმართულებებით, კერძოდ, ესტონეთის „ტარტუს უნივერსიტეტის“ სპეციალისტებმა გაგვიზიარეს ესტონური გამოცდილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ონლაინ-სწავლების დანერგვასთან დაკავშირებით.

შეხვედრების შედეგად გამოიკვეთა მრავალი საჭიროება, რომლის მიხედვითაც პროექტზე მომუშავე გუნდმა, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შეადგინა სახელმძღვანელოს თემატიკა, რომელმაც სრულად მოიცვა და უპასუხა კვლევის ეტაპზე გამოვლენილ მოთხოვნებს. ესენია: დისტანციური განათლების არსი და თეორიული საფუძვლები; დისტანციური სწავლების მეთოდოლოგიური მიდგომები; დისტანციური სწავლების საუკეთესო პრაქტიკის მიმოხილვა საქართველოსა და მსოფლიოს ტერიტორიაში; დისტანციური სწავლების ადმინისტრირების ინსტრუქცია; ახალი სკოლის მოდელი დისტანციური სწავლებისას; არაფორმალური განათლების როლი დისტანციური სწავლების პროცესში; დისტანციური სწავლების პროცესი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეებთან; ფსიქოლოგიის რჩევები დისტანციური სწავლების პროცესში—გამოწვევები და ბარიერები; მშობლის როლი დისტანციური სწავლების პროცესში; მოსწავლისა და სასკოლო საზოგადოების პროფესიული განვითარების მხარდაჭერა დისტანციური სწავლების პროცესში.

პროექტის განხორციელების ამ ეტაპზე შეირჩა ათი ავტორი, რომლებმაც უკვე დაიწყეს მუშაობა სახელმძღვანელოს შედგენაზე.

პირველი სამუშაო ვერსია ნოემბრის ბოლოს გაზიარდება ე.წ. საპილოტე ჯგუფთან, რომელიც დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების ყველა სეგმენტის წარმომადგენლებითა და სფეროს ექსპერტებით. საპილოტე ჯგუფის მიერ სამუშაო ვერსიის შეფასებისა და უკუკავშირის გაზიარების შემდეგ, სარედაქციო ჯგუფი შეადგენს გზამკვლევის საბოლოო ვერსიას.

დისტანციური განათლების ადმინისტრირების სახელმძღვანელო დაიბეჭდება მიმდინარე წლის დეკემბრის ბოლოს და 2021 წლის იანვრის თვეში დაურიგდება საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ყველა სკოლას და სფეროში მომუშავე ორგანიზაციებს. ამასთან, პროექტის სამუშაო ჯგუფი ორგანიზებას გაუწევს სახელმძღვანელოს ვიდეოპრეზენტაციას, რომელიც განთავსდება და გაზიარდება სოციალურ ქსელში.

რა თქმა უნდა, ძალზე მნიშვნელოვანია პროექტის მდგრადობა, რომელსაც განაპირობებს როგორც თავად გამოცემული სახელმძღვანელო, ასევე ის ღონისძიებები, რომელიც დაგეგმილია და განხორციელდება 2021 წლის მარტის თვეში ასოციაციის მიერ კონფერენციების, პანელიური დისკუსიებისა და ვებინარების სახით.

ვფიქრობთ, აღნიშნული სახელმძღვანელო, შინაარსობრივი თვალსაზრისით, სრულად დააკმაყოფილებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ადმინისტრატორთა მოთხოვნებს, რათა ეფექტიანად წარმართონ ონლაინ-სწავლების პროცესი, გაეცნონ საქართველოსა და საერთაშორისო გამოცდილებას აღნიშნული მიმართულებით, დაინახონ ერთიანი სურათი სკოლაში მიმდინარე ონლაინ-პროცესების შესახებ, რაც დაეხმარება მათ დისტანციური სწავლების უკეთ დაგეგმვაში, პროცესების შეფასებასა და გაუმჯობესებაში.

სახელმძღვანელო საშუალებას მისცემს მათ, შეძლონ სკოლის შიდა ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება, რათა მოახდინონ დროული რეაგირება არსებულ გამოწვევებზე.

ეს იქნება დისტანციური განათლების მართვის პირველი გზამკვლევი საქართველოში ხარისხიანი განათლებისთვის!

წარმატებას გისურვებთ ყველას ესოდენ საპასუხიმგებლო მისიის აღსრულებაში.

გურამ სულაქველიძე

განათლების მაგისტრი



დირექტორთა პროფესიული განვითარების პროგრამები

სკოლის წარმატებას დიდწილად განაპირობებს წარმატებული დირექტორი, რადგან იგი ზეგავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე და ცვლის სკოლის სასწავლო გარემოს. სკოლის წარმატებული ლიდერის ჩამოსაყალიბებლად უმნიშვნელოვანესია უწყვეტი პროფესიული განვითარება, დირექტორთა პროფესიული განვითარების პროგრამები. ასეთი პროგრამების შესახებ, სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე, საუბრობს სტატიის ავტორი.

დროთა განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები მეტ ავტონომიას ანიჭებენ სკოლებს, რაც თანამედროვე განათლების სისტემას უამრავი ახალი გამოწვევის წინაშე აყენებს. გარდა ამისა, გლობალურმა ცვლილებებმა, ინკლუზიური გარემოს და განათლებით დაინტერესებული მხარეების მზარდი მოლოდინების გათვალისწინებით, სკოლის დირექტორების პასუხისმგებლობა საკმაოდ გაზარდა. შესაბამისად, გამოიკვეთა სკოლის დირექტორების პროფესიული განვითარების საჭიროებები სკოლის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის.

დირექტორებს უმნიშვნელოვანესი პასუხისმგებლობა აკისრიათ სკოლის კულტურის ჩამოყალიბებასა და მის განვითარებაში, პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაში, მოსწავლეების სწავლა-სწავლებასა და მათი აკადემიური მოსწრების ხელშეწყობაში, თანამშრომლობითი კულტურის მხარდაჭერასა და საჭიროებებსა და ფაქტებზე დაფუძნებული სწავლების დანერგვაში. აქედან გამომდინარე, უწყვეტი პროფესიული განვითარება მნიშვნელოვანია წარმატებული სკოლის ლიდერის ჩამოსაყალიბებლად.

პროფესიული განვითარების პროგრამების გავლით, დირექტორები იმაღლებენ კვალიფიკაციას, იუმჯობესებენ სკოლის ეფექტიან მართვისთვის საჭირო უნარებს და პრაქტიკაში ნერგავენ განახლებულ ცოდნას.

სკოლის დირექტორები პასუხისმგებლები არიან მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე; ისინი ამზადებენ მოსწავლეებს უნივერსიტეტისთვის, მუშაობენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან და ცვლიან სასწავლო გარემოს (Davis and Darling-Hammond 2012). გენტილუჩის, დენტისა და გუალიანონის მიხედვით, ბევრი დირექტორი ამთავრებს უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებულ სერტიფიცირებულ პროფესიული განვითარების პროგრამებს, თუმცა მაინც არ გააჩნიათ სკოლის ლიდერობისთვის საჭირო შესაბამისი კვალიფიკაცია (2013 წელი). იგივე შეიძლება ითქვას ახალ დირექტორებზე, რომლებსაც აქვთ გავლილი უმაღლესი სასწავლებლების მიერ შემოთავაზებული კურსები, თუმცა არ არიან აღჭურვილი სკოლის მართვისთვის საჭირო უნარ-ჩვევებით (Duncan, Range, and Scherz 2011). შტაინი და გევირცმანი ამბობენ, რომ გადასამზადებელი პროგრამების ისეთ უნარებს უნდა უვითარებდეს დირექტორებს, რომელიც დაეხმარება მათ წარმატებით დაპოზიტიურად შეცვალონ სასკოლო გარემო (2003 წელი). 2012 წელს დავისმა და დარლინგ-ჰამონმა შეისწავლეს ხუთი უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული დირექტორთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამები. გამოიკვეთა პროგრამების მთავარი მახასიათებლები: პროგრამებზე მიღების ძალიან მკაცრი წინაპირობები; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, გამყარებული შესაბამისი თეორიული მასალებით; პროგრამების მჭიდრო კავშირი სკოლებთან და განათლების სტრატეგიებთან (2012 წელი).

აუცილებელია, რომ პროგრამები პასუხობდეს შესაბამის სტანდარტებს, დაფუძნებული იყოს სკოლის ლიდერობის უახლეს კვლევებზე (Davis, Darling-Hammond, LaPointe, and Meyerson 2005) და მოიცავდეს შემდეგ თემებს:

- ა. სასწავლო ლიდერი,
- ბ. ადამიანური კაპიტალი,
- გ. აღმასრულებელი ლიდერი,
- დ. სტრატეგიული მართვა (Browne-Ferrigno 2007; Duncan, Range, and Scherz 2011; Stein and Gewirtzman 2003).

შტაინისა და გევირცმანის რეკომენდაციით, ადგილობრივმა თვითმმართველმა ორგანოებმა თავად უნდა შექმნან სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროგრამები, რომელიც დააკმაყოფილებს სკოლის დირექტორთა საჭიროებებს. ეს პროგრამები უნდა განხორციელდეს მას შემდეგ, რაც დირექტორები გაივლიან უმაღლესი სასწავლებლების მიერ შემოთავაზებულ პროფესიული განვითარების პროგრამებს (2003 წელი). ეს მიდგომა დაინერგა ფლორიდის, ლუიზიანის, ტექსასის, კენტაკის, ვაიომინგისა და მასაჩუსეტის შტატებში (Browne-Ferrigno 2007; Duncan, Range, and Scherz 2011; Stein and Gewirtzman 2003).

სკოლის დირექტორების პროფესიული განვითარების პროგრამები განსხვავდება ქვეყნების მიხედვით მათი საჭიროებების, სკოლის კულტურისა და ინკლუზიური გარემოს გათვალისწინებით. განვიხილოთ კანადის მაგალითი, რადგან ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიხედვით, კანადას მოწინავე ადგილი უკავია ამავე ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს შორის. ასევე ჩილეს მაგალითი, რადგან მისი განათლების სისტემა ჰგავს საქართველოს განათლების სისტემას. ჩილეში არსებობს განათლების სამინისტროსთან არსებული გაუმჯობესების, ექსპერიმენტებისა და პედაგოგიკური კვლევების ცენტრი (CPEIP), რომელიც ხელმძღვანელობს მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების ეროვნულ პოლიტიკას. ამ უკანასკნელის საქმიანობა ახლოსაა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საქმიანობასთან.

კანადაში სკოლის დირექტორების პროფესიული განვითარება განათლების რეფორმის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. 2004 წელს ონტარიოს ადგილობრივმა მთავრობამ მხარი დაუჭირა განათლების გაუმჯობესების სტრატეგიას „ონტარიოს განათლების გაჯანსაღება“, რომელიც მიზნად ისახავდა: მოსწავლეების აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას და ადგილობრივ თემში ნდობის ზრდას განათლების საჯარო დაფინანსების კონტექსტში. მიზნების მისაღწევად, ონტარიომ შექმნა ლიდერობის განვითარების თანმიმდევრული სტრატეგია და რეფორმის მიმდინარეობისას გააერთიანა სკოლების საბჭოები, მასწავლებელთა გაერთიანებები, მეცნიერები და განათლების სპეციალისტები. პროცესში შეიქმნა ლიდერობის

ჩარჩო დოკუმენტი, სადაც გამოიკვეთა ხუთი კომპონენტი: მიმართულების განსაზღვრა, თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება, ორგანიზაციული განვითარება, სასწავლო პროგრამის წარმართვა და ანგარიშვალდებულება¹. აღნიშნული რეფორმა წარმატებით განხორციელდა, რაც მაგალითი გახდა კანადის სხვა პროვინციებისთვის. მაგალითად, 2017 წელს ბრიტანული კოლუმბიის პროვინციამ განავითარა ლიდერობის ახალი ჩარჩო დოკუმენტი, რომელიც ნაწილობრივ დაფუძნებული იყო ონტარიოს მაგალითზე. ეს დოკუმენტი ამბობს, რომ სკოლის დირექტორების როლის ზრდასთან ერთად საჭირო ხდება მათი მხარდაჭერა და ახალი ტიპის ტრენინგების დანერგვა.

ონტარიოში სკოლის დირექტრობის მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: უნდა ჰქონდეს მასწავლებლობის 5 წლიანი გამოცდილება მაინც, უნდა იყოს სერტიფიცირებული განათლების სამანოთხ საფეხურზე (სკოლამდელი, დაწყებითი, საბაზო ან საშუალო), ფლობდეს ორ საგანს ან მიღებული ჰქონდეს მაგისტრის აკადემიური ხარისხი და გავლილი ჰქონდეს დირექტო-

რების კვალიფიკაციის პროგრამა (PQP). ონტარიოს მასწავლებელთა კოლეჯი აკრედიტაციას ანიჭებს PQP-ის მიმწოდებლებს და განსაზღვრავს პროგრამის სახელმძღვანელოებს (უნივერსიტეტები, დირექტორთა საბჭოები)². დირექტორთა კვალიფიკაციის პროგრამა, ონტარიოს ლიდერობის ჩარჩო დოკუმენტის³ გათვალისწინებით, შედგება 12 მოდულისგან: 6 მოდული (125 სთ.) – პირველ ნაწილში, 6 მოდული (125 სთ.) – მეორე ნაწილში.

ნაწილი I:

მოდული 1: დირექტორის როლი

მოდული 2: სამართლიანი და ინკლუზიური სკოლები

მოდული 3: მენეჯმენტი და ლიდერობა

მოდული 4: პედაგოგიური ლიდერობა

მოდული 5: ინკლუზიური განათლება

მოდული 6: კოლაბორაციულად უსაფრთხო სკოლის შექმნა

ნაწილი II:

მოდული 7: სკოლის დირექტორის ცვალებადი როლი



მოდული 8: ინკლუზიური სკოლები

მოდული 9: პროფესიული კაპიტალის განვითარება

მოდული 10: მტკიცებულებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღება

მოდული 11: ურთიერთობების განვითარება მშობლებთან და ადგილობრივ თემთან

მოდული 12: ჯანსაღი ცხოვრების წესისა და კეთილდღეობის მხარდაჭერა

დირექტორთა კვალიფიკაციის პროგრამის აუცილებელი შემადგენელი კომპონენტია დირექტორის მიერ სკოლაში პრაქტიკული აქტივობების განხორციელება. კერძოდ, თანამშრომლობითი პროექტის ხელმძღვანელობა მენტორის დახმარებით. პრაქტიკა გრძელდება 60 საათი, საიდანაც 20 საათი ეთმობა დაკვირვების პროცესს⁴.

ჩილეში განათლების სისტემის მართვა ნაწილდება ცენტრალურ და ადგილობრივ მთავრობებს შორის. განათლების სამინისტრო განსაზღვრავს განათლების პოლიტიკის დღის წესრიგს, ხოლო განათლებას ადმინისტრირებას უწევს ადგილობრივი მუნიციპალიტეტები და დიდი რაოდენობით კერძო საგანმანათლებლო ორგანიზაციები. განათლების სამინისტროსთან არსებული გაუმჯობესების, ექსპერიმენტებისა და პედაგოგიკური კვლევების ცენტრი (CPEIP) ხელმძღვანელობს მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების ეროვნულ პოლიტიკას. CPEIP თავისი საქმიანობითა და პოლიტიკით ძალიან ჰგავს საქართველოში მოქმედ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს. 2011 წლიდან CPEIP, „დირექტორების ტრენინგების სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში, დირექტორებისა და სკოლის ადმინისტრაციისთვის კომპეტენციების, უნარებისა და ცოდნის განვითარების მიზნით, ახორციელებს უწყვეტი განვითარების ტრენინგებს. ტრენინგები ხორციელდება უმაღლეს სასწავლებლებთან თანამშრომლობით. სამიზნე ჯგუფის გათვალისწინებით, ტრენინგ-კურსები დაყოფილია ორ კატეგორიად:

I კატეგორია: ჰუმანისტურ-სამეცნიერო და მხატვრული ტრენინგები ორი ტიპის სამიზნე ჯგუფისთვის:

1. დირექტორები, ტექნიკურ-პედაგოგიკური ჯგუფის ხელმძღვანელები ან სხვა მენეჯერული გუნდების წარმომადგენლები, სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებიც სკოლის მართვის გამოც-

დილებით ან განათლების სპეციალისტები, განათლების სფეროში მუშაობის სამზე მეტი წლის გამოცდილებით, რომლებსაც სურთ გახდნენ სკოლის დირექტორები;

2. დირექტორები, ტექნიკურ-პედაგოგიკური ჯგუფის ხელმძღვანელები ან სხვა მენეჯერული გუნდების წარმომადგენლები ოთხი ან მეტი წლის მართვის გამოცდილებით.

II კატეგორია: ტექნიკურ-პროფესიული ტრენინგები ტექნიკურ-პედაგოგიკური ჯგუფის ხელმძღვანელი დირექტორებისთვის, მენეჯმენტის სხვა მენეჯერული ჯგუფის წარმომადგენლებისთვის; ასევე განათლების სპეციალისტებისთვის, რომლებსაც სურთ დირექტორობა და აქვთ საკლასო ოთახში სწავლების მინიმუმ სამწლიანი გამოცდილება.

გემოთ განხილული ლიტერატურისა და ქვეყნების მაგალითების გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დირექტორთა პროფესიული განვითარების პროგრამები მნიშვნელოვანია სკოლის წარმატებული ლიდერების ჩამოსაყალიბებლად, რადგან ისინი ზეგავლენას ახდენენ მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე და ცვლიან სკოლის სასწავლო გარემოს. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამები უნდა პასუხობდეს განათლების სისტემაში დანერგილ შესაბამის სტანდარტებს, განათლების პოლიტიკასა და სტრატეგიებს. მკაცრად უნდა გაიწეროს მიღების წინაპირობები და კრიტერიუმები. რეკომენდებულია, პროგრამებში განიხილებოდეს კვლევებზე, დირექტორთა საჭიროებებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული თემატიკა, გამყარებული შესაბამისი თეორიული ლიტერატურით.

სკოლის მართვა

შენიშვნები:

- 1 OECD (2010b)
- 2 National Center on Education and Economy
- 3 The Ontario Leadership Framework (revised, September 2013)
- 4 Ontario Principals' Council

ნინო გორდუიანი

მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის
ტრენინგების პროგრამის
ხელმძღვანელი



მასწავლებელთა ონლაინ პროფესიული განვითარება

სტატიაში განხილულია დისტანციური სწავლების საკითხები Microsoft სერვისების გამოყენებით და საგანმანათლებლო პლატფორმები, რომელიც უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის შესთავაზა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა მასწავლებლებს.

2020 წლის 1 მარტიდან, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სკოლებში, საბავშვო ბაღებსა და უნივერსიტეტებში სწავლების პროცესი შეიჩერდა. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა სკოლებისა და უნივერსიტეტების დისტანციურ/ონლაინ სწავლებაზე გადასვლა.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ რეკომენდაციით მიმართა საგანმანათლებლო დაწესებულებებს, შესაძლებლობების ფარგლებში, მაქსიმალურად გამოეყენებინათ მათთვის ხელმისაწვდომი დისტანციური კომუნიკაციის არხები. ამდენად, სკოლები და მასწავლებლები ახალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ.

საქართველოს მთავრობის „დარჩი სახლში“ მოწოდებისთანავე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელობამ მიიღო სწრაფი და ეფექტიანი გადაწყვეტილება – მასწავლებლებისათვის, უსაფრთხო პროფესიული განვითარების მიზნით, შეექმნა და შეეთავაზებინა ვებინარების ციკლი,

ონლაინ/დისტანციური ტრენინგები და სასწავლო კურსები. გადაწყვეტილება უმოკლეს დროში განხორციელდა და დღესაც გრძელდება.

ონლაინ/დისტანციური ტრენინგები მასწავლებლები-სათვის 3 საგანმანათლებლო პლატფორმაზე მიმდინარეობს: **Microsoft Teams, Edx** და **E-courses.tsu.ge**.

მრავალფეროვანი არჩევანი მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას, საჭიროებიდან გამომდინარე, თვითონ აირჩიონ და დაგეგმონ საკუთარი პროფესიული განვითარების გზა.

დისტანციური სწავლება Microsoft სერვისების გამოყენებით

პანდემიის გავრცელების შემდეგ, 600 ათასზე მეტ მოსწავლეს და 55 ათასამდე მასწავლებელს მიეცათ შესაძლებლობა, ესარგებლათ Microsoft-ის ანგარიშით, რომელიც Microsoft office 365-ის სრული პაკეტის გამოყენების საშუალებას იძლევა. სკოლებისთვის დისტანციური გაკვეთილების ჩასატარებლად, რეკომენდებულია Teams პროგრამის გამოყენება, რომელიც სხვადასხვა აპლიკაციას აერთიანებს; ასევე, ვირტუალური სასკოლო ოთახების მოწყობის, სკოლებთან ეფექტური კომუნიკაციის და „ლაივ-ინტერაქტიური“ გაკვეთილების ჩატარების საშუალებას იძლევა.

Teams პროგრამაში წარმატებით შეიძლება მასწავლებლების მიერ სრულფასოვანი საგაკვეთილო პროცესის წარმართვა. ეს არის სივრცე, სადაც შესაძლებელია დავალებების ერთად თავმოყრა და უკუკავშირის დაბრუნება, საგაკვეთილო პროცესში თვალსაჩინოების მიზნით ყველა ტიპის ინფორმაციისა და თეთრი დაფის გაზიარება, ფაილების გაცვლა, ჯგუფური აქტივობების წარმატებით დაგეგმვა და განხორციელება. Teams-ში ასევე არის ინტეგრირებული Class Notebook და ელექტრონული ჟურნალი. ხელმისაწვდომია Teams აპლიკაციის დესკტოპი, iOS და Android ვერსიები. მიმდინარე სასწავლო წლიდან აპლიკაციის უკვე ქართული ვერსიაშიცაა მუშაობა შესაძლებელი.

Microsoft-ის Teams-ის პროგრამის გამოყენება შესაძლებელია პორტალზე: <https://email.mes.gov.ge>

ცენტრის ეგიდით (ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობის პროგრამა) შექმნილი ტრენინგ-

მოდული: „დისტანციური სწავლება Microsoft სერვისების გამოყენებით“ მასწავლებლებს საშუალებას აძლევს შეისწავლონ Microsoft Teams, Microsoft One Drive, Microsoft Stream, Microsoft Class Notebook, Microsoft Forms, Microsoft White Board აპლიკაციები და მიზანმიმართულად გამოიყენონ ისინი სასწავლო პროცესში.

ტრენინგი „დისტანციური სწავლება Microsoft სერვისების გამოყენებით“ უკვე გაიარა დაახლოებით 16 000-მდე პედაგოგმა.

ტრენინგები გრძელდება უწყვეტ რეჟიმში.

ონლაინ კურსები:

ონლაინ ტრენინგკურსები საუკეთესო საშუალებაა მასწავლებლებისთვის, მათთვის ხელსაყრელ დროსა და ადგილზე შეასრულონ კურსის ფარგლებში დაგეგმილი პროფესიული განვითარების აქტივობები.

პროფესიული კომპეტენციის ამაღლებასთან ერთად, ონლაინ ფორმატში მუშაობა მასწავლებლებს ეხმარება, ასევე, სწავლების პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების სარგებლის უკეთ დანახვასა და ტექნოლოგიების გამოყენების უნარის განვითარებაში.

Edx.emis.ge – Open edX

სწავლის მართვის სისტემა (LMS)

Edx.emis.ge შექმნილია ონლაინ საგანმანათლებლო პლატფორმაზე (LMS) Open edX-ის ბაზაზე. Edx.emis.ge-ზე შექმნილია და ხორციელდება ქართული სასწავლო კურსები მასწავლებლებისთვის.

Edx.emis.ge – პლატფორმაზე ტრენინგის გავლის წინაპირობაა – მასწავლებელმა გაიაროს რეგისტრაცია და ინსტრუქტორის დახმარებით ჩაირიცხოს სასწავლო კურსზე.

- ინსტრუქტორებს შეუძლიათ გამოაქვეყნონ, განათავსონ სადისკუსიო თემები, მართონ ჯგუფები და მოახდინონ მათი რედაქტირება, დაუკავშირდნენ მსმენელებს.
- მასწავლებლებს შეუძლიათ საკუთარ პროფილზე წვდომა, ჩარიცხვის სტატუსის შემოწმება, კურსის/ების გავლა.



კურსის/ების წარმატებით დასრულების შემდგომ მასწავლებლები იღებენ სერტიფიკატს.

EDX-კურსების შინაარსი, დამხმარე ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია დესკტოპის, iOS და Android ვერსიებისთვის.

Edx.emis.ge – პლატფორმაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი მასწავლებლებს სთავაზობს ზოგადი პროფესიული უნარების 2 მოდულს:

■ მოდული 1 – „მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს მახასიათებლები“;

■ მოდული 2 – „სასწავლო პროცესის პოზიტიური მართვა და მზაობა პროფესიული განვითარებისთვის“.

დღეისათვის, უკვე 3000-მდე მასწავლებელმა შეძლო აღნიშნული ონლაინ ტრენინგკურსების გავლა.

ონლაინ ტრენინგკურსები:

<https://e-courses.tsu.ge/course/index.php>

პორტალზე

MAC GEORGIA – მაკლეინის ასოციაციის მიერ შექმნილი ონლაინ ტრენინგკურსებია. მაკლეინის ტრენინგი მო-

იცავს სხვადასხვა ტიპის შეზღუდული შესაძლებლობების, განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებებისა და ეფექტური ინტერვენციის სტრატეგიების განხილვას იმ პროფესიონალებისთვის, რომლებიც სპეციალური განათლების კუთხით მუშაობენ, ასევე, ოჯახის წევრებისა და სხვა აღნიშნული სფეროთი დაინტერესებული პირებისთვის.

ონლაინტრენინგი მოიცავს შემდეგ საკითხებს: განვითარების დარღვევები, განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებები, სენსორული და ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობები, ემოციური პრობლემები, ბაზისური აკადემიური უნარების სწავლება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ქცევის მართვის სტრატეგიები.

აღნიშნულ პლატფორმაზე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი მასწავლებლებს სთავაზობს 2 ონლაინკურსს:

- „ქცევის მართვა“;
- „განვითარების დარღვევები და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები“.

ონლაინკურსი მდიდარია ვიდეო და საკითხავი მასალით; კონკრეტული საკითხი სრულდება ტესტით (ე.წ.

ონლაინ ტრენინგკურსები <https://e-courses.tsu.ge/course/index.php> პორტალზე 250-მა მასწავლებელმა უკვე გაიარა.

მასწავლებლებისთვის ონლაინტრენინგები და ონლაინკურსები სერიოზული გამოწვევა იყო. ისინი, ძირითადად, მიჩვეული იყვნენ პირისპირ ტრენინგების ფორმატს—ტრენინგებთან პირისპირ კომუნიკაციას. ონლაინტრენინგებზე გადართვა ძალიან სწრაფად და მათთვის მოულოდნელად მოგვიხდა. ბევრი მასწავლებლისთვის აბსოლუტურად ახალი იყო დისტანციური და ონლაინტრენინგის ფორმატი. მიუხედავად იმისა, რომ მათ მიიღეს ონლაინტრენინგებისა თუ ონლაინკურსების გამოყენების გამაძვირებელი, ვიდეონსტრუქციები, სადაც დეტალურად იყო ახსნილი თითოეული პლატფორმის შესაძლებლობები, მაინც საკმაოდ ბევრი სირთულე წარმოიშვა, რაც სავსებით ბუნებრივია, რადგან ჩვენი პედაგოგების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფლობის უნარები განსხვავებულია. პირველი და ყველაზე დიდი პრობლემა მაინც არის ის, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო, მასწავლებელთა უმრავლესობას არ ჰქონდა შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა, წვდომა ინტერნეტთან და ა.შ. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ რეგირონებში დგას.

ფაქტია, რომ საქართველოში, პანდემიის პირობებში, ონლაინ სწავლება უალტერნატივო გზა აღმოჩნდა საგანმანათლებლო პროცესის გასაგრძელებლად. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო პროცესმა საკლასო ოთახებიდან ონლაინ სივრცეში გადაინაცვლა. ქართველმა მასწავლებლებმა ღირსეულად მიიღეს ახალი გამოწვევა და ონლაინ სწავლა—სწავლების პროცესში აქტიურად და დიდი ინტერესით ჩაებნენ, მაღალი იყო მათი ჩართულობა და მზაობა ონლაინ პროფესიული განვითარებისთვის.

ვფიქრობთ, ონლაინ გადამზადების კურსები გაგრძელდება პანდემიის შემდგომ პერიოდშიც, თუნდაც გეოგრაფიული არეალის, კლიმატისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინებით.

საოპოპ
მართვა

ქვები). კურსს მონაწილე ასრულებს ფინალური, დროში შეზღუდული ტესტირებით.

მონაწილე სერტიფიკატს იღებს ფინალური ტესტირების წარმატებით დასრულების შემდგომ.

მიხეილ იაშვილი

ბაქსვუდის საერთაშორისო
სკოლის ტუტორი,
სკოლა ლაბის
სტიპენდიანტი



სკოლის როლი და გამოწვევები

სტატიაში ავტორი აღწერს იმ მთავარ გამოწვევებს, რაც სასკოლო განათლების მისიის შესრულებასთან არის დაკავშირებული. გარდა ამისა, განხილულია ის აღქმები და წარმოდგენები, რომელიც პირდაპირ ბმაშია ზოგადი განათლების მიზნებთან. რაც მთავარია, მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები ხსენებული გამოწვევების შესამცირებლად და მოსაგვარებლად.

სასკოლო განათლების საკითხებზე დისკუსია და კამათი ყოველთვის პოპულარული იყო საქართველოში. ეს დაახლოებით ისეთივე საკითხია, როგორიც, მაგალითად, ქართული ფეხბურთი, რომელზეც ყველას და ყოველთვის შეუძლია საუბარი (ძირითადად, ნეგატიურ კონტექსტში). ამასთან, ამ საკითხზე შესაძლებელია ვისაუბროთ როგორც ბავშვებთან, ასევე ზრდასრულებთან. სამწუხაროა, რომ ამ თემას სიღრმისეულად არ შეუღწევია ქართულ პოლიტიკაში და დღემდე ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად პრიორიტეტულია პოლიტიკური ჯგუფებისათვის, რაც დასტურდება მათ მიერვე წარმოდგენილ პროგრამებსა თუ საჯარო განცხადებებში. მაგალითად, ერთ-ერთი პარტიის მთავარი გეგმა განათლების მიმართულებით რეგულირებისა და სახელმწიფო ჩარევის გაუქმებაა, მეორე – მხოლოდ მასწავლებლების ანაზღაურებაზე აკეთებს აქცენტს, მესამესთვის – სასკოლო მასალებისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების თანხვედრაა მნიშვნელოვანი და ა.შ. რამდენად საკამათოც არ უნდა იყოს ეს საკითხები, სამწუხაროა, რომ არაფერია ნათქვამი „რო-

გორ“ და, უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ პოპულისტურ განცხადებებთან გვაქვს საქმე. თუმცა, დავუბრუნდეთ სტატიის მთავარ თემას – აღზრდა სკოლებში.

როდესაც სკოლაში მუშაობა დავიწყე, ერთ-ერთი პირველი შეკითხვა, რაც მოსწავლეებს დავუსვი, სკოლის მიზანს ეხებოდა – რისთვის არის შექმნილი სკოლა. ბუნებრივია, პირველი პასუხი, რაც მივიღე, იყო – განათლებისთვის. „რომ მივიღოთ შესაბამისი ცოდნა, რომელიც მომავალში გამოგვადგება და ვიქნებით წარმატებულები“ – დაახლოებით რაღაც ასეთი. მიუხედავად იმისა, რომ ამ პასუხში არაფერია არასწორი, სამწუხაროდ, ბევრის აზრით, განათლება აღიქმება როგორც სერვისი, რომელსაც იყიდი ან გაყიდი. კერძო სექტორის შემთხვევაში, ამას უფრო ბიზნესად აღიქვამენ. „განათლებას იშვიათად უყურებენ, როგორც საზოგადო სიკეთეს. შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებებიც განიხილება, როგორც ყიდვა-გაყიდვის ადგილი, რომელიც, ძირითადად კერძო ურთიერთობების საკითხია და არა საზოგადოებრივი განვითარების.“⁴¹

გარდა ამისა, ბავშვები საუბრობდნენ ურთიერთობებზე ანუ სოციალიზაციაზე და სკოლის სოციალურ ფუნქციაზე. აქ შეგვიძლია შევიყვანოთ ქცევები, უნარები და ურთიერთობის ფორმები. ფაქტობრივად, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ზუსტად ეს არის სკოლის როლი აღზრდის საკითხებში. კანონმდებლობას რომ გადავხედოთ, სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის ძირითადი პრინციპებია:

„სწავლებისა და სულიერი და ფიზიკური აღზრდის ჰარმონიულობა და ჰუმანისტური ხასიათი...ზოგადსაკაცობრიო ეროვნულ-კულტურულ ღირებულებათა და საგანმანათლებლო ტრადიციების აღიარება და პატივისცემა“ (საქართველოს კანონი განათლების შესახებ).

ამასთან ერთად, ამავე კანონის მე-11 მუხლის მიხედვით, „ზოგადი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოსწავლეთა მიერ ზოგადი მეცნიერული ცოდნის საფუძვლებისა და მწიგნობრივი ღირებულებების შეთვისება, მოზარდთა პიროვნული შემოქმედებითი მიდრეკილებებისა და აზროვნების განვითარება, შრომის-მოყვარეობისა და შრომის უნარის გამომუშავება, სულიერი და ფიზიკური ძალების ჰარმონიული განვითარება, სამოქალაქო-დემოკრატიული და ეროვნულ-კულტურული შეგნების ჩამოყალიბება.“

ამავე მიმართულებით რომ გავაგრძელოთ, ზოგადი განათლების კუთხით, სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნებია:

- „მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა;
- მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა.“

მოკლედ რომ შევაჯამოთ, მწიგნობრივი ღირებულებები, კულტურული ფასეულობები, სულიერი ძალების განვითარება, დემოკრატიული და ეროვნული შეგნების ჩამოყალიბება საკმაოდ ფართოდ არის წარმოდგენილი სასკოლო განათლების მიმართულებით არსებულ კანონმდებლობაში. აქედან გამომდინარე და ამის გარეშე, აღზრდის საკითხები პრიორიტეტული უნდა იყოს სკოლებისათვის. მიუხედავად ამისა, ამ მხრივ, არაერთი პრობლემა არსებობს.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა ძალადობრივი გარემო სკოლებში.

ზოგადად, „სასკოლო ბულინგი“ ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა სკოლის ლიდერებისა და სისტემისათვის. ამ მხრივ, გამონაკლისი არც საქართველოა. ბოლო პერიოდში მომხდარი ტრაგიკული შემთხვევებიც ზუსტად ამას ადასტურებს. სახალხო დამცველის ანგარიშების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ სკოლებში სახეზეა ძალადობის როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური ფორმები, არ არსებობს მისი დაძლევის ერთიანი პოლიტიკა. სკოლებში მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება პრობლემის იდენტიფიცირებისა და ბულინგის შესაძლო ფაქტებზე დროული და ეფექტური რეაგირების საკითხები. 2012-2017 წლებში, საგანმანათლებლო დაწესებულებების მონიტორინგისა და გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა და სახალხო დამცველის აპარატში შესული საქმეების ანალიზმა აჩვენა, რომ სკოლებში



გავრცელებულია ძალადობის როგორც ფსიქოლოგიური, ისე ფიზიკური ფორმები და ბუღინგი მოსწავლეებს შორის ურთიერთობის გავრცელებული ფორმაა. ასევე, ხშირია მოსწავლეზე ძალადობა ბავშვებთან ახლო კომუნიკაციაში მყოფი პირების (მაგ.: მასწავლებლები, სკოლის ადმინისტრაცია) მხრიდანაც.²

არსებული კვლევების შედეგები აჩვენებს, რომ სკოლაში ბუღინგის შემთხვევების იდენტიფიცირება პასუხისმგებელი პირების მხრიდან მინიმალურია და არ ასახავს რეალურ მდგომარეობას. ეს, ერთი მხრივ, განპირობებულია იმით, რომ მოსწავლეთა და სკოლის თანამშრომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობის აშკარა ფაქტებს არ მიიჩნევს ძალადობის გამოვლინებად. მეორე მხრივ კი – დირექციის წარმომადგენლები და მანდატურები არ ფლობენ ბაზისურ ცოდნას ძალადობის სახეების შესახებ.³ გარდა ამისა, სკოლის თანამშრომლები მიიჩნევენ, რომ სკოლის უსაფრთხოება ძირითადად ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს და

პასუხისმგებლობის დიდი წილიც სწორედ მას ეკისრება. აქ, იკვეთება საკუთარი პასუხისმგებლობის თავიდან არიდებისა და სხვისთვის დაკისრების მცდელობის ტენდენცია.

საკმაოდ სერიოზული გამოწვევაა მოსწავლეების დაბალი მოტივაცია, გამოავლინონ ბუღინგის შემთხვევები ან ითხოვონ დახმარება, რასაც ისინი სკოლის თანამშრომლებისადმი უნდობლობითა და სიტუაციის დაძაბვის შიშით ხსნიან.⁴

აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანი პრობლემაა აღზრდის ძალადობრივი მეთოდები, რომელიც ფართოდ არის მიღებული ქართულ საზოგადოებაში. ითვლება, რომ დასჯის ძალადობრივი ფორმები უფრო ემედიითა, ვიდრე არაძალადობრივი აღმზრდელობითი მეთოდები, რაც კიდევ უფრო ართულებს სასკოლო დონეზე მოსწავლეებთან მუშაობას და ბუღინგის პრობლემის პრევენციას.⁵

აღნიშნული პრობლემების დასაძლევად პოლიტიკის დონეზე, უმნიშვნელოვანესია უსაფრთხო სკოლისა და ბუღინგის შემცირების სტრატეგიის შექმნა. დოკუმენტი, გარ-

დაზოგადი დებულებებისა, უნდა მოიცავდეს კონკრეტულ სამოქმედო გეგმებსა და ინსტრუქციებს პედაგოგებისთვისაც და სკოლის ლიდერებისთვისაც. მნიშვნელოვანია, რომ მასში გათვალისწინებული იყოს ადგილობრივი საჭიროებებიც. დოკუმენტის ფორმირების პროცესში ჩართულნი უნდა იყვნენ როგორც სამოქალაქო საზოგადოების, ასევე თავად სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები, მათ შორის, მშობელთა ჯგუფებიც. ბულინგის შემცირების საკითხებში სკოლების განვითარებისათვის, მნიშვნელოვანია მათთვის კონსულტაციებისა თუ მენტორინგის გაწევა, რისთვისაც საჭირო იქნება შესაბამისი ჯგუფის/სპეციალისტების გადამზადება. გამოცდილებისა და კარგი პრაქტიკების გაზიარების მიზნით, აუცილებელია სხვადასხვა სივრცეების შექმნა და თანმიმდევრული აქტივობების ორგანიზება. ამ მხრივ, ძალიან სერიოზული რესურსია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები (უსდ). მნიშვნელოვანია უსდ-ებისა და სკოლების თანამშრომლობის ხელშეწყობა. აქ, შესაძლებელია სტუდენტების რესურსების გამოყენება. მაგალითად, დამამთავრებელ კურსებზე სტაჟირების გავლა სკოლებში, სხვადასხვა პროექტისა თუ აქტივობის განხორციელება.

აუცილებელია მშობელთა ჩართულობისათვის ეფექტური პოლიტიკის განხორციელება. ბულინგის შემცირებისათვის შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა მხოლოდ მათი მონაწილეობით იქნება გაზიარებული ფართო საზოგადოების მიერ. ამ მხრივ, მისასალმებელია მშობელთა საინიციატივო ჯგუფებისა და ორგანიზაციების გააქტიურება. თუმცა, ეს უფრო ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხია და არა სისტემის დონეზე მხარდაჭერილი პოლიტიკა.

გარდა ამისა, სისტემის დონეზე უმნიშვნელოვანესია ბულინგის ფაქტების გამოძლევის წახალისება. საკმაოდ სასარგებლო იქნება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მედიაციის მექანიზმის დანერგვა. აუცილებელია უწყებათაშორისი კომუნიკაციის გაუმჯობესება, რათა სკოლის ყველა ლიდერმა, მიუხედავად დღევანდელი გამოწვევებისა, იცოდეს რომელ რგოლს უნდა მიმართოს და მიიღოს შესაბამისი დახმარება. მნიშვნელოვანია დირექტორის, სკოლის მასწავლებელთა და მანდატურის სტანდარტის/კოდექსის გადახედვა, კომპეტენციათა მოდიფიცირება და შემდგომში ასახვა უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში. და ბოლოს, კიბერბულინგისა თუ სხვა ნაკ-

ლებად ცნობილი გამოწვევების შესახებ აუცილებელია ყველა დაინტერესებული მხარის (სკოლის დირექტორი, ადმინისტრაცია და მასწავლებელი) ინფორმირება. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია როგორც ახალი რესურსების შექმნა, ისე არსებულის შესახებ ინფორმაციის მაქსიმალურად გავრცელება. მაგალითად, არაძალადობრივი კომუნიკაციის ინსტიტუტის მიერ გამოცემული მასალების სერია „ანტი-ბულინგური პროგრამა სკოლაში“ ანგაეროს ბავშვთა ფონდის შემაჯამებელი ანგარიში „მსოფლიოს ბავშვთა მდგომარეობა 2017: ბავშვები ციფრულ სამყაროში.“ სამწუხაროდ, ამ და ყველა ზემოხსენებულ საკითხზე, ძირეული ცვლილებებია გასატარებელი პოლიტიკის განმახორციელებლების მხრიდან.

სკოლის
პროგრამა

შენიშვნები:

- 1 საჯარო ლექცია „განათლების თავისუფლება.“ სტუმრები – სიმონ ჯანაშია, გია ნოდია, გიორგი ასათიანი. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი.
- 2 საქართველოს სახალხო დამცველი. სპეციალური ანგარიში. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობა. 2017.
- 3 საქართველოს სახალხო დამცველი. კვლევა ადამიანის უფლებების სწავლებისა და სასწავლო გარემოს შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში (თბილისი: სახალხო დამცველის აპარატი, 2018) 51-69.
- 4 Dan Olweus Prevention Program (OBPP). ავტორი სასკოლო ჩავგრის კვლევებზე მუშაობდა 1970-1978 წლებში.
- 5 გაეროს ბავშვთა ფონდი. სოციალური ნორმების ანალიზი ბავშვთა მიმართ ძალადობის კონტექსტში (თბილისი: ადამიანის უფლებები ყველასათვის, 2016), 11-33.

ნინო გაგელიძე

განათლების სპეციალისტი



განათლება ხვალისათვის (EDUCATION FOR TOMORROW – JACQUES DELOR)

UNESCO 1948 წლიდან უშვებს ჟურნალს „იუნესკოს კურიერი“. 1996 წლის აპრილის თვის გამოცემა ეძღვნება თემას „21-ე საუკუნის განათლება, სწავლის სწავლა“ (Education for the 21st century; Learning to learn). პირველი ნაწილი აერთიანებს 12 სტატიას, მათ შორის დისტანციური სწავლების შესახებ, რომელთა მოკლე მიმოხილვას, შერჩევითი ნაწილების თარგმანსა და ინტერპრეტაციასაც გთავაზობთ წინამდებარე დოკუმენტში.

1993-1996 წლებში იუნესკომ შექმნა საერთაშორისო კომისია, რომელსაც დაევალა მსოფლიო მასშტაბის კვლევის ჩატარება, რომლის მიზანიც იქნებოდა განათლების პრობლემების დადგენა და მომავლისთვის რეკომენდაციების შემუშავება. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობდა საფრანგეთის ყოფილი ეკონომიკისა და ფინანსების მინისტრი ჟაკ დელორი, რომლის სტატიითაც იხსნება „იუნესკოს კურიერის“ 1996 წლის აპრილის თვის გამოცემა.

ჟაკ დელორი სტატიაში აჯამებს კომისიის 3 წლიანი მუშაობის შედეგებს. აღნიშნავს, რომ 21-ე საუკუნის დამდეგს, დიდი მსჯელობა მიმდინარეობს მეცნიერებისა და ტექნოლოგიის განვითარების როლზე მომავლის განათლებაში. გლობალიზაციის შედეგად, ადამიანებსა და სახელმწიფოებს შორის გაზრდილი ურთიერთდამოკიდებულება მოითხოვს უპრეცედენტო საერთაშორისო თანამშრომლობას. ამის ფონზე კი უფრო ნათლად ჩანს გამოწვევები, პრობლემების კომპლექსურობა და საფრთხეები. შესაბამისად, განათლების მიმართ იზრდება

მოთხოვნები. ავტორი გამოყოფს ოთხ საკვანძო საკითხს, რომელიც გასათვალისწინებელია გლობალურ და ადგილობრივ დონეზე:

პირველია საგანმანათლებლო სისტემების შესაძლებლობა, მოიცვან და განავითარონ სამი მთავარი მიმართულება—ეკონომიკა, მეცნიერება და კულტურა. განათლების სისტემამ უნდა შექმნას კვალიფიციური და შემოქმედებითი სამუშაო ძალა, რომელსაც შეუძლია ახალ ტექნოლოგიებთან ადაპტირება, ცოდნის კაპიტალის გაზრდა, პასუხისმგებელი მენეჯერებისა და მოქალაქეების მომზადება, რომლებსაც ერთი მხრივ, თავისი კულტურისადმი კუთვნილება, მეორე მხრივ კი, სხვებისადმი ღიაობა ექნებათ.

მეორე საკითხია საგანმანათლებლო სისტემების უნარიანობა, შეიტანონ საზოგადოებაში სიახლე. განათლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა, მოამზადოს საზოგადოება სიახლისთვის, მიუხედავად მზარდი უიმედობისა, რომელიც ავსებს ეჭვებითა და გაურკვევლობით. ამასთან, მხედველობაში მიიღოს ყველა შეკავშირებული და ურთიერთმოქმედი ფაქტორი, რომელიც მუდმივად იცვლება, იქნება ეს ინდივიდუალური თუ საზოგადოებრივი ღირებულებები, ოჯახის სტრუქტურა, ქალების როლი, უმცირესობების სტატუსი და ა.შ..

მესამე საკვანძო საკითხი არის განათლების სისტემისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართება. სახელმწიფოს როლი და პასუხისმგებლობა, ძალაუფლების განაწილება სხვადასხვა დონეზე, ბალანსის მოძებნა საჯარო და კერძო განათლებას შორის— ესაა გარკვეული ასპექტები პრობლემებისა, რომელიც ქვეყნების მიხედვით განსხვავდება.

მეოთხე საკითხია — სხვებისადმი ღიაობა და ურთიერთგაცება, საერთო ღირებულებების დამკვიდრება და საჯაროდ გაცხადება, რაც ჯამში ემსახურება მშვიდობას. შესაძლებელია, განათლება იყოს უნივერსალური? შეუძლია მას შექმნას ენა, რომელიც უპასუხებს არსებულ გამოწვევებს და მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთისგან ასე განსხვავდებით, ერთნაირად მიიტანს სათქმელს მსოფლიოს ყველა მოსახლემდე? ამგვარი ენის შექმნა, ავტორის აზრით, ყველაზე მთავარი სირთულეა.

ჟაკ დელორი გამოყოფს ოთხ მთავარ ქვაკუთხედს, რომელიც წარმოადგენს განათლების საფუძველს. ესენია „ცოდნის სწავლა“ (learning to know), „კეთების სწავლა“ (learning to learn) „ყოფნის სწავლა“ (learning to be) და „ერთად ცხოვრების სწავლა“ (learning to live together).

„ცოდნის სწავლა“ — იმის გათვალისწინებით, რომ მეცნიერულმა განვითარებამ მნიშვნელოვანი სიახლეები შემოიტანა, საჭირო გახდა ზოგადი განათლების შერწყმა კონკრეტულ შერჩეულ საკითხებთან, საფუძვლიანი მუშაობის უნართან. შესაბამისად, ზოგადი განათლება ესაა საშვიცხოვრებაში და სტიმული უწყვეტი სწავლისკენ.

„კეთების სწავლა“—გარდასამუშაო პრაქტიკისა და მისი მახასიათებლების ცოდნისა, გულისხმობს ახალ გამოწვევებთან გამკლავების უნარს. ავტორის აზრით, ჯგუფებში მუშაობას, მიუხედავად იმისა, რომ ეს პედაგოგიური მეთოდია, არ ექცევა საკმარისი ყურადღება. საჭიროა, სწავლების პროცესში ინტეგრირებული იყოს პროექტები, რომელშიც მოსწავლეები აქტიურად ჩაერთვებიან.

„ყოფნის სწავლა“—იუნესკოს მიერ 1972 წელს შექმნილმა კომისიამ, რომელსაც ედგარ ფაურე ხელმძღვანელობდა, ანგარიში გამოაქვეყნა სახელწოდებით „learning to be“. ჟაკ დელორი აღნიშნავს, რომ იმ ჯგუფის მიერ შემუშავებულ მიგნებებს აქტუალობა ახლაც არ დაუკარგავს. აღნიშნული ქვაკუთხედი გულისხმობს მეტი დამოუკიდებლობის გამო-მუშავებისა და განსჯის უნარის შერწყმას პირად პასუხისმგებლობასთან, საერთო მიზნების მისაღწევად.

„ერთად ცხოვრების სწავლა“ — რისი საშუალებითაც, მოხდებოდა სხვისი კულტურის, ისტორიის, სულიერების



გაგება; ეს საშუალებას მოგვცემდა, საერთო პროექტებზე მუშაობისას, ეფექტურად გავმკლავებოდით განსხვავებულობას, კონფლიქტები გადაგვეჭრა მშვიდობიანი გზით, ინტელექტის მეშვეობით. ავტორი აქვე ამბობს, რომ შეიძლება ეს ბევრისთვის უტოპიურად ჟღერს, მაგრამ საჭირო უტოპიაა თუ გვსურს, თავი დავაღწიოთ არსებულ სახიფათო წრეს, რომელსაც კვებავს ცინიზმი და თვითკმაყოფილება.


ჟაკ დელორი ეთანხმება ედგარ ფაურეს კომისიის მიგნებებს და აცხადებს, რომ 21-ე საუკუნის მთავარი საჭიროება იქნება სწავლა მთელი ცხოვრების განმავლობაში; რადგან გარემო მრავალფეროვანი და სწრაფად ცვალებადია, მოითხოვს ფეხდაფეხ მიყოლასა და უნარების განვითარებას. სკოლების ამოცანად ასახელებს სწავლის განსიამოვნების მიღების უნარის გამომუშავებას, დამოუკიდებლად სწავლასა და ინტელექტუალური ცნობის მოყვარეობის ხელშეწყობას. უნდა წარმოვიდგინოთ საზოგადოება, სადაც თითოეული ჩვენგანი ერთდროულად მასწავლებელიცაა და მოსწავლეც. მისი თქმით, მცოდნე საზოგადოების საფუძველს წარმოადგენს ფორმალური გარემო, სადაც ყველა ინდივიდს აცნობენ ცოდნის სხვადასხვა ფორმას და არ არსებობს იმაზე ეფექტიანი მოდელი,

ვიდრე მასწავლებელი-მოსწავლის ურთიერთობა, რომელიც ემყარება ავტორიტეტსა და დიალოგს.

ჟაკ დელორი ეხება მასობრივი უმუშევრობის პრობლემას, რომელიც გამოწვეულია განგრძობითი განათლების არარსებობით. აღნიშნავს, რომ ადამიანს უნდა ჰქონდეს სწავლასთან მიბრუნების შესაძლებლობა, რათა მისი ცხოვრება არ განსაზღვროს ადრეულ ასაკში მიღებულმა გადაწყვეტილებებმა. მოუწოდებს უმაღლესი განათლების სისტემებს, შესთავაზონ დივერსიფიცირებული პროგრამები, რომელიც, საჭიროების მიხედვით, ფოკუსირებულია კვლევაზე, პრაქტიკასა თუ კვალიფიკაციის ამაღლებაზე. სტატიის ბოლოს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პარტნიორული ურთიერთობების აუცილებლობას, რაც გლობალიზაციის პროცესში შეუქცევადი გახდა.

„ყოფნის სწავლა“ რეტროსპექტივაში ("learning to be" in retrospect – Asher Deleon)

სტატია ეხმაურება ედგარ ფაურეს 1972 წლის ანგარიშს „learning to be“, რომელიც ორი მთავარი იდეის – მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისა და „მსწავლეელი (learning) საზოგადოების“ ირგვლივ იყო აგებული. ეს



უკანასკნელი საგანმანათლებლო პოლიტიკის ამოსავალ წერტილად იყო წარმოდგენილი და გულისხმობდა საზოგადოების, როგორც მთელის ჩართვას განათლებაში. ანგარიში მიზნად ისახავდა, თავიდან აეცილებინა ისეთი მცდარი დებულებები, როგორიცაა განათლების მიჩნევა სოციალისტური ქვესისტემად ან ცალკე მდგომ ინსტრუქციად, რომელიც ყველა ინდივიდუალურ თუ სოციალურ პრობლემას მოგვარებს; ებრძოდა დაყოფას, რომ ცალკე არსებობს „სწავლის დრო“ და „ცხოვრების დრო“. ანგარიში ფოკუსირებული იყო სწავლის (learning) პროცესზე, რაც სცილდება განათლების მიღებას (Education) და აცხადებდა, რომ სწავლება და განათლება (teaching and education) არის სწავლის (learning) დამხმარე განზომილებები. საბაზო განათლება მიჩნეული იყო ნებისმიერი ადამიანის საწყისი კაპიტალად.

დელეონი აღნიშნავს, რომ, მიუხედავად ამ ფოკუსისა, 1972 წლის კომისია მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლას განიხილავდა არა როგორც განათლების მიღების მუდმივ პროცესს ან საგანმანათლებლო სისტემის ნაწილს, არამედ როგორც პრინციპს, რომელზეც უნდა მდგარიყო სხვადასხვა სისტემა და ორგანიზაცია.

ფაურეს ანგარიში ხაზს უსვამდა პიროვნულ განვითარებას და განათლების საფუძვლად მიიჩნევდა არა მასწავლებელს, არამედ მოსწავლეს. მნიშვნელოვანი იყო არა სწავლის პროცესი, არამედ ამ პროცესის შედეგი. დელეონი ამბობს, რომ მთითოეული ჩვენგანი უნდა იყოს თავისუფალი არჩევანში, რადგან მდიდრდება პირადი გამოცდილება და ვითარდება განსჯის უნარი, შესაბამისად, უნდა გვექონდეს საშუალება, ავირჩიოთ ჩვენს საჭიროებებზე, მოლოდინებსა და შესაძლებლობებზე მორგებული გზები.

სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ ფაურეს კომისია ახალ საგანმანათლებლო ტექნოლოგიებს განიხილავდა, როგორც საშუალებას, ინსტრუმენტს ინოვაციების განხორციელებისთვის; დღეს კი (1996 წელს), როცა კომპიუტერული ტექნოლოგია, მულტიმედია და ინტერაქტიული სისტემები ასე მძლავრია, იკვეთება, რომ განათლების სისტემას მოუწევს მოერგოს ახალ მოთხოვნებს.

მსჯავრდებულთა განათლება (The education of prisoners – Stephen Duguid)

ავტორი აღნიშნავს: მიუხედავად იმისა, რომ თანდათან უფრო პოპულარული ხდება მსჯავრდებულთა განათლე-

ბა, განვითარებად ქვეყნებში ეს საკითხი პრიორიტეტს არ წარმოადგენს, საგანმანათლებლო რესურსები იშვიათია და მასწავლებლები არ არიან კარგად დატრენინგებული.

სოციალისტური ბლოკის ქვეყნებში მიჩნეული იყო, რომ დანაშაული არის დევიაცია, გამოწვეული უმეცრებით და არა სოციალური ან კულტურული გაუცხოების შედეგი. განათლება სასჯელალსრულების დაწესებულებაში მნიშვნელოვან იარაღს წარმოადგენდა, რათა მსჯავრდებულებს გაეცნობიერებინათ „მათი შეცდომები“.

დასავლეთში პრაქტიკა სხვადასხვაგვარია. წინათ, როდესაც დანაშაულებრივი ქცევების ახსნისას ასახელებდნენ სოციოლოგიურ მიზეზებს, მსჯავრდებულთა განათლება ორიენტირებული იყო წიგნიერებაზე, ეფუძნებოდა სკოლისა და პროფესიული კოლეჯების პროგრამებს. მოგვიანებით, დანაშაულის საფუძვლებს ფსიქოლოგიაში დაუწყეს ძებნა; შესაბამისად, მსჯავრდებულების განათლებამ მოიცვა ისეთი საკითხები, როგორიცაა ადიქცია, ძალადობა, ბრაზი და სექსუალური გადახრა.

ავტორი აღნიშნავს, რომ განათლებამ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ციხის რეაბილიტაციურ ფუნქციაში. ბოლო ათწლეულში ამ საკითხებზე მომუშავე მასწავლებლები, ადმინისტრატორები და მკვლევარები გაერთიანდნენ და დაიწყეს საერთო წესებისა და პრაქტიკების შექმნა. კანადა, აშშ, ბრიტანეთი, შვედეთი ესტონეთი და ნიდერლანდები წარმოადგენენ იმ ქვეყნებს, რომლებმაც მსჯავრდებულთა განათლებისთვის საერთო სტანდარტებზე შეთანხმებისკენ პირველი ნაბიჯები გადადგეს.

ახალი კარის გაღება მეცნიერების სწავლებაში (Opening new doors in science education – Francois Gros)

სტატია იწყება მოსაზრებით, რომ მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უპირატესობა აღარაა ისეთი ცხადი, როგორც იყო მე-19 საუკუნეში. არსებობდა მოლოდინი, რომ მეცნიერება გადაჭრიდა კაცობრიობის ინდივიდუალურ და გლობალურ პრობლემებს, მაგრამ ომმა ნათელი გახადა, რომ მას მენტალიტეტი არ შეუცვლია. ავტორი აღნიშნავს, რომ მეცნიერებასა და საზოგადოებას შორის ჩნდება უფსკრული და ერთ-ერთ საფრთხედ ასახელებს „ზედმეტად სპეციალიზირებას“ (Overpecialization), რად-

გან ამის შედეგად, კომუნიკაცია რთულდება. გაუცხოებისგან თავის ასარიდებლად, საჭიროა, მეცნიერებაში შემოვიდეს კომუნიკაციისა და ენის სხვა ფორმები.

ავტორი აღნიშნავს, რომ დღეს (1996 წ.) ფიზიკა ისწავლება ფიზიკის სახელმძღვანელოდან; ანალოგიურად, ბიოლოგია – ბიოლოგიის სახელმძღვანელოდან, როდესაც საჭიროა სწავლების პროცესი იყოს ინტერდისციპლინური – რატომარ უნდა იყოს განხილული ფიზიკის პრობლემები მოლეკულური ბიოლოგიის სწავლისას? პრობლემა უნდა შეფასდეს როგორც ზოგადი, ასევე სპეციფიკური კუთხით, მხოლოდ ასე შეიძლება ავირიდოთ ცოდნის ფრაგმენტაცია, რაც ყველა მხრივ მავნებელია.

ავტორი აკრიტიკებს უმაღლესი განათლების იმდროინდელ მოდელს – სტუდენტები ჯერ მიდიან უნივერსიტეტში, სწავლობენ საფუძვლებს, შემდეგ – ლაბორატორიებში, ნასწავლის შეჯამების მიზნით, ბოლოს – ინდუსტრიაში, რათა ნახონ, როგორ მუშაობს ეს ყველაფერი პრაქტიკაში და ზოგ შემთხვევაში მუზეუმებსა და სამეცნიერო დაწერსებულებებში, უფრო ფართო სურათის შესაქმნელად ამ მეცნიერების შესახებ. მისი აზრით, უნდა გადაიხედოს ეს სწორხაზოვანი მიმდევრობა, უნივერსიტეტმა უნდა გააძლიეროს კავშირები სხვადასხვა მხარესთან. მეტიც, უნივერსიტეტებმა არ უნდა ასწავლონ ერთი და იგივე, არ უნდა ცდილობდნენ, მოიცვან ყველაფერი, არამედ უნდა გაითვალისწინონ არსებული მოთხოვნები, მდგომარეობა, კულტურა, რეგიონის სპეციფიკა, შესაბამის მონხმარებლებს დივერსიფიცირებული პროგრამები. სტუდენტების გამრდილი ნაკადები საჭიროებს მეტადამიანურ რესურსს, რისთვისაც უნივერსიტეტებმა მეცნიერებს თავისუფლად მოძრაობის საშუალება უნდა მისცენ.

ფრანსუა გროსი აღნიშნავს, რომ მასობრივ განათლებაში შეიძლება დაიკარგოს ინდივიდუალური ტალანტების მრავალფეროვნება. მისი აზრით, ასევე ყურადღება უნდა მიექცეს მათემატიკას, როგორც სტუდენტების შერჩევის ერთ-ერთ კრიტერიუმს, რადგან ის წარმოადგენს ინტელექტუალური აქტივობის ერთ-ერთ უმაღლეს ფორმას და ამოწმებს ინდივიდის შესაძლებლობებს აბსტრაქციული და სხარტი აზროვნების კუთხით. ასევე, უკიდურესად მნიშვნელოვნად მიიჩნევა მეცნიერების ისტორიის სწავლებას დაწყებით საფეხურზე იმგვარად, რომ ეს დაკავშირებული იყოს კულტურულ კონტექსტთან. შემდეგ თანდათან უნდა ინტეგრირდეს მეცნიერება სასკოლო კურიკულუმში; საბაზო საფეხურზე ადრეიდანვე უნდა ჰქონდეთ მოსწავ-



ლებს საშუალება, ჩაატარონ პრაქტიკული ექსპერიმენტები. ეს არის გადამწყვეტი, რადგან მათ ამ პირობებში მოუწევთ პასუხისმგებლობებთან პირისპირ შეხვედრა. ასევე, ისწავლიან, რომ უნდა იყვნენ გუნდის წევრები, გამოიმუშავენ კრიტიკული აზროვნების უნარს და გააცნობიერებენ, რომ პრობლემის გადაჭრისთვის არა მხოლოდ ერთი, არამედ სხვადასხვა მიდგომა არსებობს.

ცოდნის გაზიარება (Sharing Knowledge – Pierre Lena)

სტატიაში საუბარია სამეცნიერო ცენტრებში დაგროვილი ინფორმაციის გაზიარების პრობლემაზე, როდესაც სტუდენტები განვითარებადი ქვეყნებიდან მიდიან ინდუსტრიალიზებულ ქვეყნებში და იქ იღებენ დოქტორის ხარისხს, თავის ქვეყნებში დაბრუნებულებს კი ხვდებათ კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმების ძალიან მცირე შანსი, თანაც ძირითადად დაშორებული მათი კვლევის საკითხებს. ამის მიზეზად ავტორი ასახელებს კონკრეტული პოლიტიკის არარსებობას იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გავიდეს სამეცნიერო ცენტრებში დაგროვილი ცოდნა ინდუსტრიალიზებული ქვეყნებიდან.

ავტორს მაგალითად მოჰყავს ჩილე, რომელიც ასტრონომიის შესწავლისთვის საუკეთესო ლოკაციებით გამოირჩევა (მაგალითად, ზოგან იმდენად გაწმენდილია ჰაერი, რომ შესაძლებელია ცის კვლევა წელიწადში 300 დღის განმავლობაში). შესაბამისად, ამერიკის შეერთე-

ბული შტატები, იაპონია და ევროპა – ყველა დაინტერესებულია ამ რესურსებით. მიმდინარეობს მოლაპარაკებები ორმხრივი სარგებლის მიღების მიზნით – ერთი მხრივ, სხვა ქვეყნები განათავსებენ იქ თავის ტელესკოპებსა და საჭირო ტექნოლოგიურ მოწყობილობებს, მეორე მხრივ კი, ჩილე მიიღებს ფინანსურ სარგებელს და საშუალებას, რომ ადგილობრივმა მეცნიერებმა გამოიყენონ თანამედროვე ტექნოლოგიები. ავტორი აქვე აღნიშნავს, რომ მხოლოდ ტექნოლოგიასთან ხელმისაწვდომობა არ არის მეცნიერების მდგრადი განვითარების გარანტია. საჭიროა, ასევე, მეცნიერული ერთობის შექმნა, რაც ხანგრძლივი პროცესია და მოითხოვს ტერიტორიულად დაკავშირებული თემების გაერთიანებას საერთო ინტერესების ირგვლივ.

მარტივი მეცნიერება (Science made simple – Jayant V. Narlikar)

სტატია ფოკუსირებულია მეცნიერების პოპულარიზაციის პრობლემაზე და გვთავაზობს მისი აღმოფხვრის სტრატეგიას, რაც მოიცავს განათლების სხვადასხვა დონეს:

დაწყებით სკოლაში უნდა წახალისდეს ცნობისმოყვარეობა ბუნების შესახებ. ბავშვები, უმეტესად, სწორედ ცნობისმოყვარეობით არიან განმსჭვალული, მაგრამ სკოლები ამას თრგუნავენ. შემდგომ ეტაპზე, მოსწავლეები უნდა გაეცნონ ბუნებრივი ფენომენების არსს, ხოლო მასწავლებელმა უნდა აუხსნას, როგორია ბუნების კანონზომიერება, რის შედეგადაც შესაძლებელი ხდება გარკვეული მოვლენების წინასწარ განჭვრეტა.

საბაზო და საშუალო საფეხურების მიზანი უნდა იყოს მეცნიერული კანონების ექსპერიმენტული დადასტურება. საჭიროა სწავლებაში მეცნიერების ისტორიის, თეორიისა და ექსპერიმენტის შერწყმა, რისი მეშვეობითაც მოსწავლეები მიხვდებიან, როგორ სწავლობდნენ თვითონ მეცნიერები – შეცდომების დაშვებისა და მათი გამოსწორების გზებით.

უმაღლესმა განათლებამ კი უნდა შექმნას ყველა საჭირო რესურსით უზრუნველყოფილი გარემო, გააცნოს სტუდენტებს სფეროში მიმდინარე უახლესი კვლევები, მისცეს საშუალება, დასვან კითხვები, მასწავლებელთან გამართონ დისკუსია, იმუშაონ პროექტებზე, რათა მიხედნენ, კონკრეტულად რა აინტერესებთ მეცნიერებაში, რადგან ბევრი ამას ძალიან გვიან ხვდება.

მეცნიერების პოპულარიზაციის მთავარი მიზანი არის საზოგადოების კომფორტულად თანაცხოვრების ხელშეწყობა მეცნიერებასა და ტექნოლოგიასთან. გააზრებული უნდა იყოს როგორც მისი შესაძლებლობები, ასევე შეზღუდვები, გაზიარებული უნდა იყოს როგორც მიღწევები, ასევე მარცხი.

პრაქტიკული მიდგომა (The hands-on approach – Goery Delacote)

ახლა ხან ამერიკამ სკოლებისთვის დააწესა მინიმალური სტანდარტები და საერთო მოთხოვნები, რომელიც მოიცავს სამ მთავარ ასპექტს:

- ასახავს, რა უნდა იცოდნენ ამერიკელებმა სკოლებში გარკვეული წლების სწავლის შედეგად;
- აღწერს სწავლების რელევანტურ მეთოდებს ამა თუ იმ საგანში;
- ქმნის შეფასების მეთოდებს ამ კრიტერიუმების შესაფასებლად.



ეს მოდელი ჰგავს მე-19 საუკუნეში საფრანგეთის სკოლებში არსებულ კურიკულუმს, რომელიც Jules Ferry-მ შემოიტანა თუმცა იმ განსხვავებით, რომ ამერიკაში სკოლები თავისუფლები არიან, მრავალფეროვანი არეალიდან შეარჩიონ მათთვის საუკეთესო. ამ დროისთვის სტანდარტები შექმნილია მათემატიკისთვის. მის მომზადებაში ჩართული იყო მრავალი მხარე – პოლიტიკოსები, მასწავლებლები, მშობელთა ასოციაციები, ბიზნესი.

სტატიის ავტორი ვარაუდობს, რომ 21-ე საუკუნეში ამგვარი სტანდარტიზება მოთხოვნილი იქნება ყველგან სახელმწიფო და, შესაძლოა, საერთაშორისო დონეზეც კი. ისეთი სამეცნიერო დაწესებულებების როლი, როგორიცაა მუზეუმები, ბოტანიკური ბაღები და ზოოპარკები, გადახედვის ქვეშაა და თანდათან ნაკლებად განიხილება, როგორც დამატებითი რესურსი; ის იქცევა განათლების სისტემის ექსპერიმენტულ ბაზად. გარდა ამისა, სტატიაში საუბარია იმაზე, რომ სკოლები არ იყენებენ ავტონომიას თავისი რესურსების გამოყენების კუთხით და ეს ამცირებს ინიციატივას. სკოლები მეტად მოქმედებენ მიცემული მითითებების საფუძველზე, ვიდრე შეთანხმებული მიზნებით, რაც მისცემდა მათ საშუალებას, საუკეთესოდ გაენაწილებინათ არსებული რესურსები სასურველი მიზნების მისაღწევად.

სკოლები გზაგასაყარზე (Schools at crossroads – Rober Bisailon)

„სკოლები ხშირად თითქოს ფეხს არ იცვლიან, როდესაც დანარჩენი მსოფლიო მოძრაობს“ – ასე იწყება სტატია, რომელშიც ნათქვამია, რომ სკოლების ფუნქცია და ადგილი საზოგადოებაში უფრო ნაკლებად სწორხაზოვანი და გასაგებია, ვიდრე ეს ადრე იყო. ისეთ ინსტიტუციებთან კონკურენციაში, როგორიცაა ოჯახი და სამსახური, სკოლებს აღარ აქვთ ცოდნის გავრცელების მონოპოლია. ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები მასწავლებლებს სცდის და აიძულებს, გადახედონ მათი სწავლების მიდგომებს. გზები, თუ როგორ იძენენ ცოდნას ახალგაზრდები, შეიცვალა.

„ინფორმაციის შესრუტვამ“, რასაც ხელს უწყობს მედია, გაიმარჯვა ტრადიციულ პროცესზე, სადაც სკოლა და ოჯახი შუამავლის როლს ითავსებდნენ. ინფორმაცია, რომელიც მედიის მეშვეობით კვებავს ახალგაზრდების ცნობისმოყვარეობას, არის ქაოტური და შემთხვევითი.

ამგვარად მიღებული ცოდნის იმგვარად დალაგება, რომ მოსწავლეებმა სარგებელი მიიღონ, სკოლებისთვის სირთულეს წარმოადგენს. მასწავლებლებსაც ფეხდა-ფეხ უწევთ, ინფორმაციის მოძიება და მისი გამოყენების უნარების გამომუშავება. „უნარების“ შინაარსიც ახალ განზომილებებს იძენს და დღეს უფრო უკავშირდება დამოუკიდებლად ოპერირებასა და ცვალებად პირობებთან ადაპტირებას.

ყველაფრის ფონზე, იკვეთება სოციოკულტურული საკითხები, როგორ შეიძლება გადმოიცეს უნივერსალური კულტურა იმგვარად, რომ ერთდროულად, დაფასებული იყოს ნაციონალური იდენტობა და ამავე დროს, არ იყოს წახალისებული რასიზმი და შეუწყნარებლობა. სოციუმში, სადაც კულტურები მეტად ერევა ერთმანეთს და იკლებს საერთო ხედვის წერტილები, მასწავლებლებს ეკისრებათ ვალდებულება, ასწავლონ მოსწავლეებს საკუთარი ღირებულებების შექმნა. სწორედ იმიტომ, რომ ეს ვალდებულება ძალიან მნიშვნელოვანია, პირველი ცვლილებები განათლების სისტემაში ყოველთვის მასწავლებლის პროფესიას ეხება. სტატიის ავტორი მოუწოდებს მათ, გააცნობიერონ პირადი და კოლექტიური პასუხისმგებლობა, საქმიანობა დააფუძნონ პროფესიონალიზმსა და მუდმივ განვითარებაზე.

პერსპექტივები მასწავლებლებისთვის (The prospects for teachers – Bill Ratterree)

ავტორის აზრით, 50 მილიონი მასწავლებლის მომზადება მსოფლიოს მასშტაბით, რაც მოსალოდნელია 2000 წლისთვის, დიდ ფინანსურ ხარჯს მოითხოვს. საჭიროა, მასწავლებლების მომზადება, დასაქმება და კარიერული წინსვლა იმგვარად იყოს ერთმანეთთან შეკავშირებული, რომ სკოლაში ქმნიდეს შემოქმედებით გარემოს. მასწავლებლის სამსახურში აყვანისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ დიპლომს, არამედ პიროვნების მოტივაციასა და სურვილს – ასწავლოს.

გამონაკლისი ქვეყნების გარდა, ფაქტები აჩვენებს, რომ მასწავლებლების ხელფასი უფრო ნაკლებკონკურენტუნარიანია, ვიდრე იგივე კვალიფიკაციის მომთხოვნის სხვა პროფესიებში, შესაბამისად, მასწავლებლობის მსურველთა რიცხვი იკლებს, ბევრი გამოცდილი მასწავლებელი სხვა პროფესიაში გადადის. ზოგადად, იკლებს მოტივაცია და შემართება, შეინარჩუნონ შემოქმედე-

ბითობა. უფრო დრამატული შედეგებია დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში, სადაც რამდენიმე პროფესიის შემთავსებელი მასწავლებელი და კერძო რეპეტიტორობა ნორმა გახდა.

სტატიის ავტორი აცხადებს, რომ აუცილებელია ყველა მასწავლებლის მოტივირება, ხელფასების გაზრდა და მატერიალური რესურსის წამახალისებელი სტრატეგიების შემუშავება. წინააღმდეგ შემთხვევაში, თავიდან ვერ ავირიდებთ ზოგადი განათლების დაბალ დონეს, სკოლების მიტოვების გაზრდილ მაჩვენებელს და ზოგადად, განათლების სისტემა ვერ შეასრულებს მის მთავარ მისიას.

დისტანციური სწავლება მაღალი ტექნოლოგიების ერაში (Distance education in high-tech era – Menahem Yaari talks to Jasmina Sopova)

წინამდებარე ინტერვიუში ისრაელის ღია უნივერსიტეტის პრეზიდენტი საუბრობს დისტანციურ განათლებაზე და აღნიშნავს, რომ რამდენიმე საგანმანათლებლო დაწესებულება უკვე პრაქტიკაში იყენებს დისტანციური სწავლების მეთოდებს, ზოგი ტრადიციული უნივერსიტეტი ხსნის ისეთ დეპარტამენტებს, რასაც შეიძლება ვუწოდოთ „შერეული“ ინსტიტუტები. ასევე, არსებობენ ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც ოპერირებენ როგორც აგენტები – წარმოადგენენ დისტანციური განათლების მიმწოდებლებს, თუმცა იყენებენ სხვა უნივერსიტეტების მომზადებულ მასალებს (მაგ: National Technological University აშშ-ში). გარდა ამისა, დაახლოებით ოცამდე უნივერსიტეტი, მათ შორის, ისრაელის ღია უნივერსიტეტი, თვითონ ქმნის მასალებს და სატელეიტის მეშვეობით ახდენს ტრანსლაციას უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით.

კითხვაზე, თუ როგორ მუშაობს კურსი სატელეიტის მეშვეობით, უნივერსიტეტის პრეზიდენტი პასუხობს, რომ, განსხვავებით სხვა კურსებისგან, ასეთი მეთოდი საჭიროებს პირდაპირ ტრანსლაციას. პროფესორი იმყოფება თელ-ავივში მდებარე სტუდიაში, სატელეიტური თეფში აკავშირებს ამ სივრცეს 60-მდე ცენტრთან ქვეყნის მასშტაბით. სტუდია აღჭურვილია ვიდეო-კამერით, მოწყობილობით, რომელიც საშუალებას იძლევა, სლაიდები გაეშვას ვიდეოზე; ფერადი სკანერი და პერსონალური კომპიუტერი გრაფიკული პრეზენტაციებისთვის მასწავლებელს შესაძლებლობას აძლევს, ჰქონდეს პირდაპირი

კავშირი სტუდენტებთან. ლექტორს, თავის მხრივ, აქვს ინფორმაცია სტუდენტების შესახებ, მათი რაოდენობის, ვინაობის, აკადემიური ისტორიის თაობაზე. სასწავლო ოთახები აღჭურვილია ფართო ეკრანებით, პერსონალური კომპიუტერებითა და ტელეფონებით, რათა სტუდენტებმა მოახერხონ პროფესორთან კომუნიკაცია.

პროცესი მოითხოვს მაღალი დონის ორგანიზებას, ჩართული არიან ფაკულტეტის წევრები, მათ შორის პროფესორები, ასისტენტები და ა.შ.. გარდა ამისა, კეთდება თვითშეფასება, გროვდება ყველა საჭირო ინფორმაცია, რათა შეფასდეს სწავლების ხარისხი. უნივერსიტეტის პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ მიუხედავად ამ სირთულეებისა, დისტანციური განათლება, საერთო ჯამში, უფრო ეკონომიურია: ექსპერტები, ვინც ჩართული არიან კურსების განვითარებაში, მუშაობენ სხვა ინსტიტუციებისთვის,



საგანმანათლებლო დაწესებულება იხდის მხოლოდ გადასახადებს. ამას გარდა, არ სჭირდებათ კამპუსი. სასწავლო ცენტრები განთავსებულია სკოლებში და გამოიყენება დღის კონკრეტულ მონაკვეთებში, როდესაც თავისუფალია ძირითადი ფუნქციისგან. ასევე, საინტერესოა, რომ ამჟამად ისრაელის ღია უნივერსიტეტს საკუთარი შემოსავლები ჰყოფნის, როდესაც პირველი 15 წელი დაფინანსებული იყო Rothschild-ის ფონდიდან. ბოლო წლებში, ჩართულობა გაიზარდა, შეძლეს საკუთარი წიგნების რეალიზაცია (450 000 წელიწადში), რამაც ბიუჯეტის 75% შეადგინა. დანარჩენი შეადგენდა სახელმწიფოს დაფინანსებას. შედარებისთვის მოჰყავს სხვა უნივერსიტეტების მაგალითი, რომლებსაც სახელმწიფო 75%-ით აფინანსებს, თუმცა აქვე აღნიშნავს,

რომ ისინი, ისრაელის ღია უნივერსიტეტისგან განსხვავებით, კვლევებს აწარმოებენ.

ინტერვიუში ვკითხულობთ, რომ დისტანციური მოდელი სწავლების ყველაზე იაფი საშუალებაა და ამას გარდა, მას სხვა უპირატესობები აქვს—შესაძლებელს ხდის, პროცესში ჩართოს ადამიანები რომლებიც შორს ცხოვრობენ, დაუკავშირდნენ ყველაზე მოწყვეტილ სოფელსაც კი. უნივერსიტეტის პრეზიდენტი აცხადებს, რომ დისტანციურმა სწავლებამ, შესაძლოა, გარკვეული როლი შეასრულოს მშვიდობის შენების მხრივაც; სცდება რა ქვეყნების საზღვრებს, ქმნის იდეების გაცვლისთვის, ნამდვილი დიალოგის დამყარებისთვის საჭირო გარემოს. იგი ვარაუდობს, რომ მომავალში, შესაძლოა, დისტანციური სწავლების ფორმამ თანდათან ჩაანაცვლოს ტრადიციული მოდელი, რომელიც დღეს მსოფლიოში წამყვან პოზიციას იკავებს.



აფრიკა: ახალი დასაწყისი (Africa: a fresh start – Fay Chung)

სტატიის ავტორი აცხადებს, რომ დღეს ყველაზე მეტად აფრიკას სჭირდება საგანმანათლებლო სისტემის გადახედვა. აქ ძალიან ცოტა ადამიანი იღებს ევროპულ განათლებას, უმრავლესობის ჩართვა კი საერთოდ ვერანაირი ფორმით ვერ ხერხდება თანამედროვე სწავლების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ ელიტურმა განათლებამ შექმნა ინდუსტრიალიზაციისა და განვითარებული ეკონომიკის საფუძვლები არაერთ ქვეყანაში, აფრიკამ ეს ვერ მოახერხა. ამის მიზეზების ასახსნელად, ავტორი საუბრობს იაპონურ მოდელზე:

მე-19 საუკუნეში იაპონელები მიხვდნენ, რომ მათი, როგორც ერის, გადარჩენა დამოკიდებული იყო დასავლური მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ათვისებაზე, მიუხედავად იმისა, რომ გაუბოძდნენ და ეწინააღმდეგებოდნენ დასავლურ კულტურასა და ღირებულებებს. სავალდებულო დაწყებითი განათლება აქ გაჩნდა 1870 წლისთვის. სანამ იზიარებდნენ დასავლურ პროგრესს, უპირველესი მნიშვნელობა მიანიჭეს საკუთარ ენას, ლიტერატურას, კულტურასა და რელიგიას. აფრიკას არ მიუღია ასეთი შეგნებული გადაწყვეტილება. დასავლური განათლების შემოსვლამ აფრიკაში ქრისტიანი მისიონერების მხრიდან გამოიწვია უფრო მეტად ჩაძირვა ქრისტიანულ თეოლოგიაში, ისტორიაში, ლიტერატურასა და კულტურაში, ვიდრე ტექნოლოგიასა და მეცნიერებაში. ავტორს მაგალითად მოჰყავს ფაქტი, რომ სკოლებიდან აფრიკული ენები გააძევეს და მათ მოიხსენიებდნენ როგორც „ტომობრივს“, „გამყოფს“. დღესაც კი უმეტესობა ესპანურ-პორტუგალიურ თუ ინგლისურად მოსაუბრე ქვეყნებში აფრიკული ენები არ ისწავლება. ახლადგაქრისტიანებული აფრიკელისთვის აფრიკული კულტურა იქცა ცრურწმენებისა და ჩამორჩენის სინონიმად და ჩამოშორებულ იქნა როგორც „არაცივილური“. სხვა სიტყვებით, განათლებულმა აფრიკელმა მიიღო ევროპელის ხედვა აფრიკის ტრადიციული კულტურის შესახებ.

ძალიან ცოტა აფრიკულ ქვეყანაში გაჩნდა დაწყებით სკოლები. საბაზო საფეხურზე, უმრავლეს ქვეყნებში შესაბამისი ასაკის 4-5% იყო ჩართული სასწავლო პროცესში, მაღალ კლასებში ეს მაჩვენებელი 1%-მდე ნაკლებია, ხოლო ვინც აგრძელებს სწავლას, მაინც არ მიდის მეცნიერების ან ტექნოლოგიის მიმართულებით.

სტატიის ავტორის შეფასებით, აფრიკამ უნდა გადახედოს განათლების სისტემას და უნდა დაისახოს მიზანი. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გადაწყვიტოს, რა ტიპის განათლებაა მისთვის შესაფერისი. ამასთან, გაითვალისწინოს გლობალური სურათიც, რადგან ისეთ მოდელს ვერ შეარჩევს, რომელიც არ ითვალისწინებს დანარჩენი მსოფლიოს ტექნოლოგიურ თუ მეცნიერულ წინსვლას. თუმცა, აფრიკას აქვს ის უპირატესობა, რომ ყველაზე ნაკლებად დაბინძურებულ მხარეს წარმოადგენს, რაც აძლევს საშუალებას, თავიდან აირიდოს ის ადამიანური და ბუნებრივი დანაკარგები, რაც ინდუსტრიალიზაციის პროცესმა სხვაგან მოიტანა.

კონფუცის შვილები

(The children of Confucius – Zhou Nanzhao)

სასწავლო პროცესს აზიის ქვეყნებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. კონფუცი განათლებას საზოგადოების გაუმჯობესების მთავარ ძალად მიიჩნევდა. საუკუნეების განმავლობაში განათლება აზიელებისთვის პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური თუ სოციალური ცხოვრების ნაწილად მოიაზრებოდა. შესაბამისად, მშობლებსა და მასწავლებლებს დიდი მოლოდინები აქვთ მოსწავლეების მიმართ, ეს აისახება კურიკულუმის სტანდარტებშიც, მოითხოვს დიდ დროს, მკაცრ მომზადებას, მშობლის დიდ ხართულობას სახლში, ახლო ურთიერთობას მოსწავლესა და მასწავლებელს შორის.

სტატიაში ნათქვამია, რომ აზიის ქვეყნებში ტრადიციულად, კოლექტივიზმი უპირატესია ინდივიდუალიზმზე. კონფუციანიზმი ადამიანის განვითარებას ხედავს მის ფუნქციაში – გახდეს ოჯახის წევრი, საზოგადოების ნაწილი. სოციალური ნორმებისა და ინტერპერსონალური ურთიერთობების შეთვისება წარმოადგენს მთავარ ნაბიჯს თუ როგორ ხდება ადამიანი ზრდასრული და პასუხისმგებლობის მქონე. საკუნიების განმავლობაში ჩინელები მიჰყვებოდნენ მორალურ იდეას „მიიღე წუხილი სხვებზე ადრე და დატკბი სიამოვნებით ყველა სხვის შემდეგ“.

კიდევერთი კულტურული ტრადიცია, რამაც განსაზღვრა აზიური მიდგომა განათლებისადმი, არის ორიენტირება სულიერზე და ნაკლებად მატერიალურზე. ტრადიციული ჩინური კულტურა ეფუძნება მორალსა და ეთიკას. დღესდღეობითაც ამბობენ, რომ განათლება ვერ იქნება ღირებულებებისგან დაცლილი და ამჟამად ორივეს თანაბრად ავითარებენ, როგორც სულიერს, ასევე მატერიალურს.

მართალია, კონფუცის სწავლება ორიენტირებული იყო ადამიანის დახვეწაზე ეთიკის კუთხით, პრაქტიკაში, აზიის ქვეყნები, რომლებშიც მერიტოკრატია გავრცელებული ფორმაა, უფრო ორიენტირებული არიან მოამზადონ და შეარჩიონ მმართველები. პრინციპების მიხედვით, მმართველმა უნდა „ისწავლოს ხალხზე ზრუნვა“, მართულებმა კი – მორჩილება, რასაც სკოლაცა და მშობელიც ადრეიდანვე ავითარებენ ბავშვებში. ბევრი მეცნიერი ასეთ მიდგომას კონსერვატიულად მიიჩნევს და თანამედროვეობასთან კონფლიქტში მყოფად განიხილავს.

სტატიის ავტორი აჯამებს მიზეზებს, თუ რატომ ვერ ვითარდებოდა ეკონომიკა აზიის ქვეყნებში სწრაფად;

ესენია: განათლების პოლიტიზება, ინდივიდუალობის უკუგდება, უფრო ინტერპერსონალურ ურთიერთობებზე ფოკუსირება, ვიდრე გარე სამყაროზე (რამაც გამოიწვია მეცნიერების, ინჟინერიისა და გამოყენებითი ტექნოლოგიის დაბალი განვითარება), ზედმეტი ყურადღება კლასიკური გამოცდების მიმართ (მერიტოკრატია დაფუძნებულია სახელმწიფო გამოცდებზე და მისკენ სწრაფვა ახშობს კრეატიულობას), უტილიტარიზმის, ბიზნესისა და პრაგმატიზმის მიმართ ზიზღი (კონფუციზმის იდეალიზმი გამორიცხავს ტექნოლოგიას და მეცნიერებას. განათლებული ელიტა მმართველობისას ხელმძღვანელობდა „უპირატესი მორალურობით“, არ მოეთხოვებოდა პრაქტიკული უნარების ან ცოდნის შეძენა) და გენდერული როლები (საუკუნეების განმავლობაში ითვლებოდა, რომ ქალს უნდა შეესრულებინა ოჯახური საქმეები და სოციუმში უმნიშვნელო იყო, ამიტომ გოგონები გაცილებით ნაკლებად იყვნენ ჩართული სასკოლო სწავლებაში. ქალების განათლების დაბალი დონე კი იწვევდა მოსახლეობის ზრდას სოფლად, გაუარესებულ საცხოვრებელ პირობებს ბავშვების კვებისა და ჯანმრთელობის მხრივ, შედეგად კი – განუვითარებელ ეკონომიკას).

თუმცა ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ ეს უფრო ძველი მიდგომები იყო, ამჟამად კი აზიის ქვეყნები ცდილობენ, კულტურული იდენტობისა და ტრადიციების შენარჩუნების კვალდაკვალ, გააცნობიერონ, რომ გლობალიზაციის პირობებში დამოკიდებულები არიან სხვა ფაქტორებზე და უწევთ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გათავისებაც. ეს ღირებულებები მოიცავს – ადამიანის უფლებებისა და სოციალური პასუხისმგებლობის საკითხებს, სოციალურ სამართლიანობასა და დემოკრატიულ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და სახელმწიფოს მმართველობაში, კულტურული განსხვავებებისა და მრავალფეროვნების გაგებასა და დაფასებას, მეწარმეობას, კრეატიულობას, გენდერულ თანასწორობას, გონებაგახსნილობას სიახლეების მიღების კუთხით და პირადი პასუხისმგებლობის შეგრძნებას გარემოს დაცვისა და შენარჩუნების საკითხებში.

ავტორი ფიქრობს, რომ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შეუძლია, ერთმანეთისგან ბევრი რამ ისწავლოს – შეუთავსოს ინდივიდუალური სწრაფვა ჯგუფურ სულისკვეთებას, კონკურენცია – თანამშრომლობას, ტექნოლოგიური უნარები – ღირებულებებს.

თამარ გურგენიძე

განათლების კოალიციის
ორგანიზაციული
განვითარებისა და
კომუნიკაციის მენეჯერი



„მასწავლებლის ეროვნული ჯილდო“ – 2020 წლის კამპანიის შესახებ

კონკურსმა „მასწავლებლის ეროვნული ჯილდო“ დიდი ხანია მოიპოვა ფართო საზოგადოების აღიარება. კონკურსი ყოველწლიურად გამოავლენს მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს მფლობელ პედაგოგს საქართველოს მასშტაბით. სტატიის ავტორი საუბრობს მიმდინარე წელს ჩატარებული კონკურსისა და ჟიურის მიერ გამოვლენილი საუკეთესო ხუთეულის შესახებ.

კონკურსი „მასწავლებლის ეროვნული ჯილდო“, რომლის მიზანია – გახადოს მასწავლებლის პროფესია პოპულარული და მოთხოვნადი, აამაღლოს საზოგადოების ცნობიერება მასწავლებლის როლის მნიშვნელობის შესახებ, წელს უკვე მეოთხედ, წარმატებით ჩატარდა. „მასწავლებლის ეროვნული ჯილდო“ ყოველ წელს საზოგადოების წინაშე წარადგენს ათ საუკეთესო მასწავლებელს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. საბოლოოდ, გამარჯვებულს გამოავლენს საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი ჟიური, რომლის საქმიანობა „მასწავლებლის გლობალური ჯილდოს“ პრინციპებს ეფუძნება.

5 ოქტომბერს, მასწავლებლის მსოფლიო დღეს, 2020 წლის მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს გადაცემის საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. „მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ გამარჯვებული სსიპ აფხაზეთის N10 საჯარო სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი სოფიო გოგოხია გახდა. ის მუდმივად ცდილობს, მოსწავლეებს სხვადასხვა მეთოდით შეაყვაროს კითხვა, წერა,

კინოხელოვნება, მუსიკა, მითების სამყარო. ამაში მას ეხმარება სკოლაში ჩამოყალიბებული კლუბები, სადაც მოსწავლეები ახორციელებენ სხვადასხვა პროექტს. აღსანიშნავია კინოკლუბი „ოდა“, სადაც ის მართავს კინორვენებებს და დისკუსიებს. სოფიო ჩართულია ეროვნული კინოცენტრისა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ერთობლივ პროექტში. ის, ასევე, ახორციელებს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ დაფინანსებულ პროექტებს, სადაც ქალთა საინიციატივო ჯგუფის ლიდერია. პროექტების დახმარებით, მან დიდი წვლილი შეიტანა თემაში წიგნიერების განვითარების კუთხით.

„მოსწავლეებმა მინდა, ისწავლონ სიყვარული, პატივისცემა, ადამიანების მიღება. მინდა, ისწავლონ და შეიყვარონ მსოფლიო ლიტერატურა. მინდა, ისწავლონ ფიქრი, აზროვნება. მინდა, რომ კარგ მოქალაქეებად გაიზარდონ“ – ამბობს სოფიო გოგოხია.

მოსწავლეების თქმით, სოფიო მასწავლებლის სწავლების მიდგომები გამორჩეული და შემოქმედებითია, რაც საგაკვეთილო პროცესს საინტერესოს ხდის.

„სოფიო მასწავლებლის გაკვეთილები არცერთი არ ჰგავს ერთმანეთს და ყველა ძალიან განსხვავებულია. დღეს ვმუშაობთ ვეფხისტყაოსნის კლუბში, რომელიც არ არის საგაკვეთლო პროცესი. ახლა დავით მაჭავარიანის ვეფხისტყაოსნის კომიქსზე დავრდებით, ვცდილობთ ჩვენც შევქმნათ რაიმე მსგავსი“ – განაცხადა სოფიო გოგოხიას მოსწავლემ.

2020 წლის მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს მოპოვებისთვის სოფიო გოგოხიასთან ერთად იბრძოდნენ:

მარინე ვართუმაშვილი – 2019 წლის საქართველოს საუკეთესო გეოგრაფიის მასწავლებელი; მუშაობს სსიპ ქ. გორის N12 საჯარო სკოლაში გეოგრაფიისა და ბიოლოგიის მასწავლებლად. იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი აქტიური და შემეცნებითი გახდეს ის იყენებს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს. განსაკუთრებით კი – პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას. მის მიერ დაარსებული კლუბის „ეკო-მეგობრები“ ფარგლებში, გორში გარემოსდაცვითი პროექტები განხორციელდა. გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მხარდაჭერით, მისი მოსწავლეები მონაწილეობენ საგანმანათლებლო კამპანიაში წყლის რაციონალურად მოხმარების შესახებ, ატარებენ კვლევებს, წერენ სტატიებს. ასევე, ყოველწ-

ლიურად მონაწილეობენ სტიქიური კატასტროფების მართვის შესახებ Besafene-ის მიერ ევროპის მასშტაბით ორგანიზებულ ოლიმპიადაში.

ანა კინწურაშვილი – კერძო სკოლის „ქორალი“ მათემატიკის მასწავლებელი. ის სწავლებისას იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს, როგორცაა პროექტებით სწავლება, ინტეგრირებული სწავლება, როლური თამაშები, საკლუბო მუშაობა, ანიმაციების შექმნა. სწავლების აღნიშნული მეთოდების გამოყენებით, მის მოსწავლეებში მათემატიკის სწავლის მოტივაცია იმდენად გაიზარდა, რომ ისინი „ევერესტის“ მიერ ორგანიზებული მათემატიკის ფესტივალისა და JBC-ის ბიზნეს თამაშების კონკურის გამარჯვებულები გახდნენ. ანას თაოსნობით დაარსდა მათემატიკის კლუბი „პი“ და ფიზიკის კლუბი „ტესლა“.

თეონა შერაზაძე – ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის სსიპ სიმონ სხირტლაძის სახელობის ქალაქ ონისა და ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ღარის საჯარო სკოლებში. როლური თამაშების, სიტუაციური ამოცანების, სწავლების საინტერესო და მრავალფეროვანი მიდგომების გამოყენებით, წარმატებით აღწევს გაკვეთილის მიზნებს. გარდა საგაკვეთილო პროცესისა, თეონა აქტიურადაა ჩართული მასწავლებელთა პროფესიული



ელზა ხარშილაძე

მარინე ვართუმაშვილი

თეონა შერაზაძე

განვითარების აქტივობებში – მასწავლებელთა საჭიროებების გათვალისწინებით, ამზადებს პრეზენტაციებს, ატარებს სამოდულო გაკვეთილებს, აცნობს კოლეგებს ინოვაციურ მეთოდებს. ის არის მასწავლებელთა პირველი და მეორე ეროვნული კონფერენციების მონაწილე.

ელზა ხარშილაძე – საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზარის საჯარო სკოლაში ფიზიკის მასწავლებლად მუშაობს. თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, ის აქტიურად ზრდის მოსწავლეებში სწავლის მოტივაციას. ელზა საგაკვეთილო პროცესში ხშირად მიმართავს მოდელირებას, პროექტულ სწავლებას. აქტიურად არის ჩართული კლუბურ მუშაობაში, სადაც სკოლის მოსწავლეთა უმრავლესობა თვითონ ქმნის რესურსებს ფიზიკის გაკვეთილისთვის. მისი აქტიური მონაწილეობით, სკოლა ჩართულია საბუნებისმეტყველო საგნების მხარდაჭერის პროგრამაში, სადაც მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა თავად ჩაატარონ ცდა, დაკვირვება და ექსპერიმენტი.

უნდა აღინიშნოს რომ კონკურსის პოპულარობა საქართველოში ყოველწლიურად იზრდება. პროექტი სხვადასხვა მედიასაშუალებით და სხვადასხვა სახით გაშუქდა მინიმუმ 380-ჯერ – სტატიები ინტერნეტ გამოცე-

მებში, პორტალებსა თუ საინფორმაციო სააგენტოებში, ტელევიზუეტები და ვიზიტები გადაცემებში. სოციალურ მედიაში კი კამპანიამ 400 000-ზე მეტი ადამიანი მოიცვა.

კონკურსის პოპულარიზაციაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს წინა წლების კონკურსების გამარჯვებულებმა და ფინალისტებმა. ისინი ვიზიტებით იმყოფებოდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სკოლებში, სადაც, კონკურსში მონაწილეობის წესებისა და სხვა დეტალების გააცნობის მიზნით, მართავდნენ საინფორმაციო შეხვედრებს მასწავლებლებთან. ასევე, ათეულთა კლუბის მასწავლებლები აქტიურად მონაწილეობდნენ ჯილდოს კამპანიის ფარგლებში გამართულ სხვადასხვა აქტივობაში.

ჯილდოს პოპულარობას ხელი შეუწყო, ასევე, ნომინირების ფორმატის ცვლილებამ – 2018 წელს მასწავლებლის წარდგენა მხოლოდ სკოლებს შეეძლოთ, ხოლო 2019 წელს მასწავლებლის წარდგენის შესაძლებლობა ფიზიკურ პირებსა და საზოგადოებრივ ჯგუფებსაც მიეცათ, რამაც მასწავლებლებს კონკურსში ჩართვისთვის მეტი მოტივაცია და სტიმული მისცა.

კონკურსის ცნობადობის ამაღლების თვალსაზრისით, აუცილებელია, გამოვყოთ საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი ჟიურის გამჭვირვალობა, რომელიც დიდხანს

მასწავლებლის
ეროვნული
ჯილდო

ფინალისტი

ელზა შერაზადიშვილი

სოფიო გოგობიძე

ანა კინკურაშვილი

საუკეთესო ხუთეული



ბით სარგებლობს საგანმანათლებლო საზოგადოებაში. ამას ადასტურებენ კონკურსის მონაწილეები, რომლებიც ხაზს უსვამენ ჟიურის წევრების პროფესიულ რეპუტაციას და კომპეტენციებს.

„მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ კონკურსი პირველად 2017 წელს ჩატარდა და ჯილდოს გამარჯვებული გახდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებელი ლადო აფხაზავა. ის 2019 წელს „მასწავლებლის გლობალური ჯილდოს“ ათეულშიც მოხვდა და ვარკის ფონდის ელჩიც გახდა. 2018 წლის გამარჯვებული იყო ბაღდათის N2 საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი მანანა კაპეტივაძე, ხოლო 2019 წლის ჯილდოს მფლობელია ქალაქ მარნეულის მეორე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ისტორიის მასწავლებელი გიორგი ჭაუჭიძე.

განათლების კოალიციამ 2017 წელს მონაწილეობა მიიღო განათლებისა და უნარების გლობალურ ფორუმში, სადაც მოიპოვა „მასწავლებლის გლობალური ჯილდოს“

აკრედიტაციის საქართველოში ეროვნული ჯილდოს დაწესებასთან დაკავშირებით. იმავე წელს გაფორმდა სამმხრივი მემორანდუმი განათლების კოალიციას, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრსა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შორის. ხაზგასასმელია, რომ უკვე ოთხი წელია პროექტის გენერალური სპონსორია „გუდავაძე-პატარკაციშვილის“ ფონდი, რომელიც ყოველ წელს გამარჯვებული მასწავლებლისთვის გასცემს ფულად ჯილდოს 10 000 ლარს. პროექტის მხარდამჭერები არიან: ლიბერთი ბანკი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (ctc), ტელეკომპანია „იმედი“, საზოგადოებრივი მაუწყებელი და მარკეტინგული კომპანია 4MEDIA.

საოპოს
მართვა

„სკოლის მართვის“ მკითხველი უკვე იცნობს საგანმანათლებლო პროგრამას, რომელსაც „მცირე პროზა“ ჰქვია. ის გამიზნულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის უფროსკლასელთათვის (მესამე საფეხური) და საქართველოს უკვე საკმაოდ ბევრ სკოლაში ისწავლება, როგორც არჩევითი კურსი. აქ შეტანილია მსოფლიოს გამორჩეულ მწერალთა შედარებით მცირე ფორმატის მოთხრობები, რომელთა წაკითხვა, გააზრება და შეფასება შეიძლება ერთ გაკვეთილზეც მოხერხდეს. კურსში წარმოდგენილია მოკლე ინფორმაცია მწერლის შესახებ, მისი ტექსტი და მცირე გზამკვლევი. ამ ნომერში გთავაზობთ შესანიშნავი ამერიკელი მწერლის რეი ბრედბერის მოთხრობას „სიკვდილი და ქალწული“.



რეი ბრედბერი

მეოცე საუკუნის საუკეთესო ფანტასტ მწერლად აღიარებული რეი ბრედბერი 1920 წლის 22 აგვისტოს ილინოისის შტატში, ქალაქ ვაუკეგანში დაიბადა. მისი ლიტერატურით გატაცებაზე ბებია იზრუნა, როცა პატარაობისას, ძილის წინ მოთხრობებს უკითხავდა. ბრედბერიმ სრული საშუალო განათლება ლოს-ანჯელესის სკოლაში მიიღო. ძალიან აქტიური გახლდათ სკოლის დრამის კლუბში. ხშირად დადიოდა ჰოლივუდში იმ იმედით, რომ ცნობილ ადამიანებს შეხვდებოდა. ის ჰოლივუდში თავად მოხვდა, ოღონდ მოგვიანებით, სცენარისტად.

რეი ღუგლას ბრედბერის ყველაზე ცნობილი ნაწარმოებებია: „451 გრადუსი ფარენჰეიტით“ (1953 წ.), „მარსელთა ქრონიკები“ (1950 წ.). მიიღო არაერთი პრესტიჟული ლიტერატურული ჯილდო, 2007 წელს კი მას პულიცერის პრემია მიაკუთვნეს. მუშაობდა ჰოლივუდში დაეკუთვნის „მობი დიკის“ სცენარი. მისი უამრავი წიგნი ადაპტირდა სატელევიზიო თუ ფილმების სცენარებად, კომიქსებად.

როდესაც 2012 წლის 5 ივნისს, 91 წლის ასაკში, რეი ბრედბერი გარდაიცვალა, „ნიუ იორკ ტაიმსმა“ გამოსამშვიდობებელ წერილში აღნიშნა: „ეს იყო მწერალი, რომელმაც თანამედროვე სამეცნიერო ფანტასტიკა ლიტერატურულ მეინსტრიმად აქცია“.

სიკვდილი და ქალწული

თარგმნა ლია კილაძემ

რეი ბრედბერი, „ცელი“,
გამომცემლობა „პალიტრა – L“, თბილისი, 2011

სოფლის განაპირას, დაბისა და ტყის გადაღმა, ყველასგან განმარტოებით ერთი დედაბერი ცხოვრობდა. ოთხმოც-დაათი წელიწადი გაატარა მან გამოკეტილ კარს უკან, რომელიც არავისთვის გაუღია – გინდ ქარი ყოფილიყო მისი სტუმარი, გინდ – წვიმა, თუნდაც მოფრთხილუ ბელუ-რა ან პატარა ბიჭი, კიბორჩხალებით სავსე კალათით რომ მიადგებოდა ზოგჯერ კარზე. როგორც კი ვინმე დარაბას შეეხებოდა, დედაბერი მაშინვე გამოსცახებდა:

– მოშორდი აქედან, სიკვდილო!

– მე სიკვდილი არა ვარ, – პასუხობდნენ მას.

მაგრამ თავისას არ იშლიდა:

– გიცანი, სიკვდილო! დღეს გოგონას სახით გამომეცხადე,

არა?! მაგრამ მაგ შენი ჭორფლის ქვეშ ჩონჩხის ძვლებს ვხედავ, იცოდე!

ახლა სხვა ვინმე მიუკაკუნებდა.

– გხედავ, სიკვდილო! – გაისმოდა შიგნიდან. – შეხედეთ, რა მარჯვე სახე მიუღია – ვითომდა დანების მღესავი ვარო! ჩემს კარს სამი კლიტე და ორი პირი ურდული ადევს, იცი თუ არა შენ! ყველა ხვრელი და ჭუჭრუტანა დაგმანული მაქვს, საკვამური – ამოლესილი, დარაბები – ობობებით დაქსელილი. სადენებიც გადავჭერი, რომ დენთან ერთად არ შემომიცოცდე სახლში, არც ტელეფონი მაქვს – ძალი-ანაც რომ მოინდომო, შუალამისას ვერ დამირეკავ, ჩემი აღსასრული რომ შემეტყობინო, ყურებიც კი ბამბით მაქვს დაცული – რაც გინდა ილაპარაკე, შენი არაფერი გამეგება. ასე რომ, კეთილი ინებე და მიბრძანდი აქედან, სიკვდილო!

ასე იყო ყოველთვის, რაც იმ მხარის მცხოვრებლებს თავი ახსოვდათ. ხალხი ათას რამეს ამბობდა დედაბერზე. ყმაწვილებს ზოგჯერ შეეძებოდათ უფროსებისგან განაგონი, დედაბრის სახლს მიეპარებოდნენ, ჭოკით სახურავზე კრამიტს ასწევდნენ და ყურს უგდებდნენ მოხუცის ბუტბუტს: `აბა აქედან მოცოცხე! ღამე მშვიდობისა, შავოსანო და მტკნარსახიანო!`

იმასაც ამბობდნენ, ასე თუ გასტანა, დედაბერი არც არასოდეს მოკვდებაო. ან კი როგორ უნდა შეეღწია სიკვდილს ამ სახლში? მისმა ყველა ძველმა მიკრობმა დიდი ხანია ცხოვრებაზე ხელი ჩაიქნია და თქვენი ჭირი წაიღო, ახლები კი, რომლებიც (გაზეთებს თუ დავუჯერებთ), ყოველ კვირაში თუ არა, ათ დღეში ერთხელ მაინც ახალ-ახალი სახელებით გადაუქროლებდნენ ხოლმე თავზე ქვეყანას, როგორღა გაძვრებიან კარს იქით, რომელთა ყველა მისადგომი კლდის ხავსის, ტეგანის, შავი თამბაქოსა და ტკიპა-ლობიოს პარკების ნეშოთია დაჯავშნილი?

— ეგ ჩვენ ყველას გაგვისტუმრებსო, — ამბობდნენ დაბაში, რომელიც რკინიგზის პირას იყო გაშენებული.

— მე მათ ყველას გაგვისტუმრებ, — ამბობდა დედაბერი და მარტოდმარტო უსინათლოთათვის გამოშვებულ ბანქოს შლიდა სიბნელეში.

ასე იყო ეს ამბავი.

რამდენიმე წელი ისე გავიდა, დედაბრისთვის არავის მიუკითხავს, აღარც ბიჭი აკაკუნებდა კარზე, არც გოგონა, აღარც მგზავრი და არც მათხოვარი. ეს კი იყო, რომ წელიწადში ორჯერ სოფლის ბაყალი, თვითონაც კარგა სამოცდაათი წელი რომ ეკიდა ზურგზე, კართან რაღაც ფუთებს ტოვებდა. ამ ფუთებში ჩიტის საკენკიც შეიძლებოდა ყოფილიყო და რძიანი ბისკვიტის ფხვნილიც, ოღონდ ყველაფერი საგულდაგულოდ იყო ჩაბეჭდილი ლითონის ლაპლაპა ყუთებში, რომელთა პრიალა იარლიყებს ყვითელი ლომები და წითელი ეშმაკუნები ამშვენებდა. დატოვებდა და უკანვე გამობრუნდებოდა ხოლმე შრილა ტყით, იქვე, ზღურბლთან რომ იწყებოდა. ხდებოდა ისე, რომ ეს სანოვავე მთელი კვირა გარეთ რჩებოდა: მზე აფიცხებდა, მთვარე ყინავდა — რომელი მიკრობი გაუძ-

ლებდა ასეთ გამოცდას! შემდეგ, ერთ მშვენიერ დილას, სანოვავე აღარსად ჩანდა ხოლმე.

დედაბრის ხელობა ლოდინი იყო და ჩინებულადაც უძლებოდა ამ საქმეს. ასი თვალი და ასი ყური ესხა — სულ რაღაცას აყურადებდა, უთვალთვალეზა და მუდამ მზად იყო.

ასე რომ, სრულებითაც არ შემცბარა, როდესაც მისი ცხოვრების ოთხმოცდამეთერთმეტე აგვისტოს მეშვიდე დღეს ერთი მშემოკიდებული ჭაბუკი ტყიდან გამოვიდა და იმ სახლის წინ შეჩერდა.

ჭაბუკს თოვლივით ქათქათა კოსტიუმი ეცვა — იმ თოვლივით, ჩურჩულით რომ მიცოცავს ხოლმე დაბამთრული სახურავებიდან და თეთრ ნაოჭებად ეფინება მთვლემარე მიწას. იგი მანქანით არ მოსულა — ფეხით გამოეწვლო გრძელი მანძილი, მაგრამ დაუღლეელი და გზისგან გაულახავი ჩანდა, ხელჯოხი არ ჰქონდა, რომ დაყრდნობოდა, არც ქუდი, მზის უღმობელი სხივებისგან რომ თავი დაეცვა, თუმცა ოდნავადაც არ შეუწონილიყო. მთავარი მაინც ის იყო, რომ ხელში ეჭირა ერთი საგანი — მწვანესითხითავსებული პაწაწინა ბოთლი. ამ სიმწვანეს თვალში მტერებული ჭაბუკი ერთბაშად შედგა და ზევით აიხედა, რადგან იგრძნო, რომ დედაბრის სახლს მისდგომოდა უკვე.


იგი კარს არ შეხებია. ნელი ნაბიჯით შემოუარა სახლს გარშემო, რომ დედაბრისთვის თავისი მოსვლა ეგრძნობინებინა.

შემდეგ მისმა ჯიქურმა მზერამ, რენტგენის სხივივით რომ ატანდა კედლებში, ქალის თვალები მოძებნა შიგნით.

— ოჰ! — წამოიკივლა დედაბერმა და გამოფხიზლდა — ნამცხვრის ლოლნისას ძილი წამოჰპარვოდა და ლუკმა ისევ პირში ჰქონდა შერჩენილი. — ეს შენ ხარ! მივხვდი, ვისი ნილბითაც მესტუმრე დღეს.

— მაინც ვისი?

— ყმაწვილი კაცის, რომელსაც ქორთა სახე მწიფე ნესვის გულს მიუგავს. მაგრამ ლანდი რომ არ გახლავს? ეს როგორღა მოხდა, როგორ?



—ადამიანებს ეშინიათ ლანდების. ტყის გადაღმა დავტოვე ამიტომ.

—არ ვიყურები და ყველაფერს კი ვხედავ.

—ო, — აღტაცებით თქვა ჭაბუკმა, — თქვენ ისეთი ნიჭი გქონიათ...

—საკმაო ნიჭი საიმისოდ, რომ შენ კარს იქით გიყოლიო, მე კი აქ დავრჩე.

—მე შემძლია, სულ ადვილად მოგიგოთ ეგ ნიძლავი, —ოღნავ შეარხია ტუჩები ჭაბუკმა, მაგრამ ქალმა მაინც გაიგონა:

—წააგებ, წააგებ!

—მე კი მოგება უფრო მიყვარს. რა გაეწყობა! მაშ, მხოლოდ ამ ბოთლს დავტოვებ თქვენს პარმალზე.

კედლის იქიდან ქალის გულის გამაღებული ფეთქვა მოესმა ჭაბუკს.

—მოიცა! კი მაგრამ, რა არის შიგ? უფლება ხომ მაქვს ვიცოდე, რას ტოვებენ ჩემს პარმალზე.

—კეთილი, — მიუგო ყმაწვილმა.

—აბა, თქვი!

—ამ ბოთლშია პირველი ღამე და პირველი დღე იმწუთის შემდეგ, როდესაც თქვენ თვრამეტი წელი შეგისრულდათ.

—რა... რა... რა თქვი?

—თქვენ გაიგონეთ ჩემი ნათქვამი.

—პირველი ღამე, თვრამეტისა რომ გავხდი... და პირველი დღე?

—დიახ, ასეა.

—ბოთლში?

მან მალლა ასწია შუშა —ახალგაზრდა ქალის ტანივით გამოთლილი და გამონაკვეთული მინა სამყაროს სხივებს იკრეფდა და მხურვალე მწვანე ცეცხლის კიაფი ვეფხვის თვალებში დაკვესებულ ნაკვერხლებს ჰგავდა. იგი ხან



მქრქალად ციაგებდა ყმაწვილის ხელში, ხან კი უეცრად
აელვარებული გაშმაგებით გიზგიზებდა.

— არ მჯერა შენი! — წამოიძახა დედაბერმა.

— ამას დავტოვებ და წავალ. სცადეთ და ჩემი წასვლის შემ-

დეგ ერთი ჩაის კოვზით მიიღეთ ბოთლში დამწყვდეული
მწვანე ფიქრები. მაშინ გაიგებთ...

— შხამია ეგ!

— არა.



— აბა, დედა დაიფიცე!

— მე დედა არ მყავს.

— ვინ შეგიძლია დაიფიცო?

— ჩემი თავი.

— ვიცი, მაშინვე მომკლავს ეგ და შენც მეტი რა გინდა!

— ეს თქვენ მკვდრეთით აღგადგენთ.

— როგორ, მე ხომ მკვდარი არა ვარ!

ყმაწვილმა სახლს გაუღიმა.

— ვითომ?

— მოიცა, ერთი ჩემს თავს ვკითხო: მკვდარი ვარ? მკვდარი ვარ განა? თუ ცოცხლებში აღარ ვწერივარ მთელი ეს წლები?

— ერთი დღე-ღამე, როდესაც თქვენ თვრამეტი წელი შეგისრულდათ, — თქვა ყმაწვილმა, — იფიქრეთ ამაზე.

— ეგ ისე დიდი ხნის წინათ იყო...

კუბოს თავივით დაჭედილი ფანჯრის მახლობლად თითქოს თავგმა გაიფაჩუნა.

— დალიეთ და დაგიბრუნდებათ.

მან ისე შეათამაშა ბოთლი, რომ მზის სხივმა გაჭოლა სითხე და აელვარდა, როგორც ზაფხულის ღორთქო ბალახის ათასობით მწვანე ფოთლიდან გამოწურული ნექტარი. იფიქრებდით, მწვანე მზე გარინდულა და ის კაშკაშებსო, იფიქრებდით, ზღვა აბორგდა და ის ბობოქრობსო გახელებული.

— ეს იყო თქვენი ცხოვრების საუკეთესო წლის უმშვენიერესი დღე.

— საუკეთესო წლისა... — ჩაიბუტბუტა ქალმა დარაბებს იქით.

— როველის წელიწადის. თქვენი ცხოვრება სურნელოვანი ბადაგი იყო მაშინ. სულ ერთი ყლუპი და — ჭაშნიკს გასინჯავდით. რატომ არ უნდა სინჯოთ, ეჰ, რატომ?

ჭაბუკი სულ უფრო წინ და უფრო მაღლა იწვდიდა შუშას და უეცრად ბოთლი ტელესკოპად გადაიქცა — რომელი მხრიდანაც უნდა გაგეხედათ, მის ფოკუსებში დიდი ხნის წინათ გარდასული წლები იყრიდა თავს. ირგვლივ ყოველივე მწვანე და ოქროცურვილი ჩანდა, როგორც ამ მზიან დღეს, როდესაც ჭაბუკის მშვიდ თითებში ჩაბლუჯული ბოთლი წარსულის დღეებს უხმობდა უკან. მოციაგე ჭურჭელი შეირხა და თეთრად ელვარე ათინათი პეპელასავით შეფრთხილდა, ფანჯრის დარაბებს მიელაცინა და როიალის რუხი კლავიშებივით აატოკა ისინი უხმოდ. მზანებასავით მსუბუქი მოკიაფე ფრთები სხივებად დაიმსხვრა, დარაბის ნაპრალებში შეცოცდა და ჰაერში მოფარფატემ ხან ბაგე გამონაკვთა, ხან ცხვირი, ხან თვალი. მაგრამ თვალი მაშინვე გაქრა და მის ადგილს განცვიფრება დაეუფლა — ისიც სხივით გაბრწყინებული.

ახლა ჭაბუკს, რომელმაც უკვე დაიჭირა ის, რის დაჭერასაც ასე ლამობდა, უძრავად ეკავა მოკიაფე პეპელა (მხოლოდ ელვარე ფრთები ტოკავდნენ ოდნავ), რათა იმ შორეულ დღეთა მწვანე ცეცხლს დარაბებში შეელწია და მარტო ამ ბებერ სახლში კი არა, დედაბრის სულშიც ჩაეღვარა სითბო. ყმაწვილ კაცს ესმოდა, როგორ აჩქარებით სუნთქავდა ქალი, როგორ ახშობდა შიშს და თრგუნავდა სიხარულს.

— არა, არა, ვერ გამაცურებ! — ყრუდ გაისმა მისი ხმა, თითქოს წყალში ჩაეძიროს ვინმეს და ის კი ცდილობდა არ ჩაწყლოდა ზანტი მოქცევის დინებას. — შენ ისევ დამბრუნდი ახალი სახით, ახალი ნილობით. — ვერ კი ვარჩევ, ვისი ნილაბია. აი, ხმა კი თითქოს დიდი ხნის ნაცნობია, მაგრამ ვისი ხმა უნდა იყოს ნეტავ? თუმცა მერაში მეკითხება? აგე, მუხლებზე გაშლილი ბანქო მეუბნება, ვინც ბრძანდები სინამდვილეში და რაც გინდა ხელში შემომაჩეჩო.

— თქვენი სიყმაწვილის ოცდაოთხი საათი მხოლოდ და მხოლოდ.

— შენ კიდევ რამეს შემომაჩეჩებ.

— იქნება ჩემს თავს?

– ვიცი, გარეთ რომ გამოვიდე, მაშინვე ხელს მტაცებ და ექვსი ფუტის სიღრმეზე ჩამჩურთავ. რამდენი წელია გაბიაბრუებ–სულ მშრალზე გტოვებ. ახლა ისევ მოსულხარ და კართან წკმუტუნებ რაღაც ახალი ოინების იმედით, მაგრამ ჩემთან არც ერთი არ გაგივა, იცოდე!

– გარეთ თუ გამობრძანდებით, მე მხოლოდ ხელზე გეამბორებით, ნორჩო ასულო.

– ნუ მიწოდებ იმას, რაც არ ვარ!

– მე გიწოდებთ იმას, რადაც შეგიძლიათ იქცეთ სულ ერთ საათში.

– ერთ საათში... – წაიჩურჩულა ქალმა თავისთვის.

– დიდი ხანია ამ ტყეში არ გისეირნიათ?

– სადღა მახსოვს! მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა.

– ნორჩო ასულო! – წარმოთქვა ჭაბუკმა. – გარეთ ზაფხულის მშვენიერი დარია. ხეივნების მწვანე ტაძარში ოქროსფერი ფუტკრები ნაირგვარად მოჩითულ ხალიჩას ქსოვენ. მუხის ფულუროდან თაფლის მხურვალე ნაკადული მოედინება. ფეხზე გაიძრეთ, მუხლამდე შედით ველურ პიტნაში და გადათელეთ. აგე, იმ ხევში მინდვრის ყვავილები განაბულან – თითქოს ყვითელი პეპლები ღრუბლის ქულად დაფენიან მიწას. ხეების ქვეშ ისეთი ცინცხალი ჰაერია, გეგონებათ ჭის ცივ, კამკამა წყალს სვამდეთ ცხვირით. ზაფხულის დღეა, ნორჩო უნორჩესი ზაფხულის დღე!

– მე კი ბებერი ვარ, ბებერზე უბებრესი ისევ და ისევ.

– აღარ იქნებით, თუ გამიგონებთ. მოდით, ერთ საქმეს შემოგთავაზებთ. მე მგონი, კარგად მოვრიგდებით – თქვენ, მე და აგვისტოს ამინდი.

– რა გარიგებაა ასეთი, ან მე რა ხეირი მექნება მანდედან?

– ოცდაოთხი ხანგრძლივი, ბედნიერი საათი – აი, ამ წუთიდან დაწყებული. ჩვენ შემოვირბენთ ამ ტყეს, ხილ-კენკრას დავკრეფთ, თაფლსაც გავსინჯავთ, დაბაში წავალთ

და ობობას ქსელივით სიფრიფანა თხელ კაბას ვიყიდით თქვენთვის. მერე კი მატარებელში ჩავსხდებით...

– მატარებელში!

– და ქალაქისკენ გავეშურებით, – აქვება, ერთი საათის გზაზე. იქვისადილებთ და მთელ ღამეს ცეკვით გავათევთ. მე თქვენ ორ წყვილ ფეხსაცმელს გიყიდით, ეს აუცილებელია – ერთი ხომ მაშინვე გაგიცვდებათ!

– ვაი, რა აკრეფს ამ ბებერ ძვლებს... ადგილიდან დაძვრაც კი მიჭირს.

– სიარულზე მეტი სირბილი მოგიწევთ, სირბილზე მეტი – ცეკვა. ჩვენი თვალთ ვნახავთ, როგორ შეკრავენ ვარსკვლავები კამარას ცაზე და თან ბრიალა მზეს ამოიყოლებენ. გამთენიისას ტბის ნაპირზე ვიხეტილებთ, საუზმეს კი ისეთ გემრიელს მივირთმევთ, როგორც ჯერ ადამიანი შვილს არ უგემია, თბილ ქვიშაზე გავიშოტებით და შუადღემდე ასე ვიქნებით. შემდეგ, სალამოხანს, კანფეტების მოზრდილ ყუთს წამოვიძვანებთ და ისევ მატარებელში ჩავსხდებით. სულ სიცილ-კისკისით გამოვივლით მთელ გზას უკანვე; კონდუქტორის კომპოსტერიდან ფერადი ქალაქების წვიმა წამოვა – ცისფერი, მწვანე, ნარინჯისფერი წინწკლები დაგვფარავს მთლიანად, როგორც ახლად ჯვარდაწერილებს. მთელ დაბას ისე გავივლით, რომ არავის, არც ერთ სულიერს ზედ არ შევხედავთ; შეღამების ჯადოსნური სურნელით ავსებულ ტყეს უკან მოვიტოვებთ და თქვენს სახლთან მოვალთ...

სიჩუმე.

– სულ ეგ არის... – ჩაიდუდუნა ქალის ხმამ, – ჯერ კი არაფერიც არ დაწყებულა.

– შემდეგ იკითხა:

– რატომ ირჯები მაინც ასე? შენ რა ხელს გაძლევს ეგ ყველაფერი?

ალერსიანმა ღიმილმა გააშუქა ჭაბუკის სახე.

– მშვენიერო ასულო, მე მინდა სარეცელი გავიყო თქვენთან.





ქალს სუნთქვა შეეკრა.

—მე არავისთვის გამიყვია სარეცელი მთელ სიცოცხლეში.

—მაშ, თქვენ... ქალწული ბრძანდებით?

—და ვამაყობ ამით!

ჭაბუკმა ამოიოხრა და თავი გადააქნია.

—ესე იგი, ეს მართალია, თქვენ ნამდვილად ქალწული ბრძანდებით?!

მან სახლს მიაყურადა — ჩამიჩუმი არ ისმოდა იქიდან. შემდეგ ძლივს გასაგონი ჩქამი გაისმა, თითქოს სადღაც გაჭირვებით მოატრიალეს საიდუმლო ონკანი და თანდათან, წვეთ-წვეთობით ამუშავდა ნახევარი საუკუნის წინ გაუქმებული სისტემა. — დედაბერმა ტირილი დაიწყო.

—რატომ ტირით, მოხუცო ქალბატონო?

—არ ვიცი, — დაიკვნესა ქალმა.

ბოლოს ქვითინი მიწყდა და ჭაბუკმა გაიგონა, როგორ რიტმულად ირწეოდა მოხუცი სავარძელში, თავი რომ დაემშვიდებინა.

—საწყალო დედაბერო! — დაიჩურჩულა ვაჟმა.

—ნუ მეძახი მასე!

—კეთილი, — მიუგო ვაჟმა, — კლარინდა!

—საიდან იცი ჩემი სახელი? არავინ იცის, რა მეკვია მე.

—კლარინდა, რატომ დაიმაღეთ ამ სახლში ჯერ კიდევ მაშინ, დიდი ხნის წინ?

—არ მახსოვს. თუმცა, როგორ არა... მეშინოდა.

—გეშინოდათ?

— რასაკვირველია, ადრე სიცოცხლის მეშინოდა, მერე — სიკვდილის. მთელი ცხოვრება მეშინოდა რაღაცის. მაგრამ შენ მითხარ, მართალი მითხარ ოღონდ! ის ჩემი ოცდაოთხი საათი რომ გაივლის... აი, ტბაზე რომ ვისეირნებთ, მატარებლით რომ დავბრუნდებით და ტყის გავლით ჩემს სახლში მოვალთ... შენ მოისურვებ...

ყმაწვილმა აცალა, თვითონვე დაემთავრებინა სათქმელი.

— ...ჩემთან დაწოლას?

— ათი ათასი მილიონი წლით, — მიუგო ვაჟმა.

— ოჰ! ხმა ჩაუწყდა ქალს, — ამდენი ხნით?

ყმაწვილმა თავი დაუქნია.

— დიდი დროა, გაიმეორა ქალმა. — ეგ როგორი გარიგებაა, ჭაბუკო? მთავაზობ სიყმაწვილის ოცდაოთ საათს და სამაგიეროდ ჩემი ძვირფასი დროის ათი ათას მილიონ წელიწადს ითხოვ?

— ჩემი დროც ნუ დაგავიწყდებათ, მე ხომ არასოდეს მიგატოვებთ.

— სულ ჩემ გვერდით იქნები?

— ჰო, რა თქმა უნდა!

— ეჰ, ყმაწვილო, ყმაწვილო, რაღაც ძალიან მეცნობა შენი ხმა.

— შემომხედეთ!

ჭაბუკმა შენიშნა, გასაღების ჭუჭრუტანას ჩურთი რომ მოსცილდა და იქიდან თვალი შემოაჩერდა. ვაჟმა შეჭლიმა მზესუმზირის გვირგვინებს ველზე და მათ გვირგვინოსან მბრძანებელს ცაში.

— დავსებული მაქვს თვალები, ვერაფერს ვხედავ, — ასლუკუნდა დედაბერი, — მაგრამ... ღმერთო, მეჩვენება თუ... მართლა უილი უინჩესტერი დგას გარეთ?

ვაჟს არაფერი უთქვამს.

— მაგრამ ეს როგორ, უილი? შენ ისევ ოცდაერთი წლის ბიჭს ჰგავხარ, თითქოს ერთი დღეც არ მოგმატებოდეს ამ სამოცდაათ წელიწადში.

ყმაწვილმა ბოთლი კართან დადგა, თვითონ მოშორებით, შამბნართან გაჩერდა.

— შეგიძლია?.. — ენა დაება ქალს, — შეგიძლია, მეც შენსავით ახალგაზრდად გადამაქციო?

ყმაწვილმა თავი დაუქნია.

— ოჰ, უილი, უილი, ნუთუ ეს მართლა შენ ხარ, ნუთუ?

ქალი იცდიდა, თვალგაშტერებული შესცქეროდა მზის სხივის თამაშს ვაჟის თმებსა და ლოყებზე, ხედავდა ბედნიერს, ახალგაზრდას და გაზაფხულის ამ მზიანი დღით გალალეულს.

გავიდა ერთი წუთი.

— აბა, რას იტყვით? — ჰკითხა ჭაბუკმა.

— მოიცა, გამოსძახა ქალმა, — უნდა მოვიფიქრო.

ჭაბუკი გრძნობდა, რომ შიგნით, სახლში ქალი თავისი წარსულის მოგონებებს ქვიშასავით ცრიდა გონების საცერში, მაგრამ მტერისა და ნაცრის გარდა არაფერი რჩებოდა ხელთ. ესმოდა, როგორ ხმაურობდა წარსულის სიცარიელე ქალის თავში, საფეთქლებს უწვავდა და შუბლს უხურებდა; მოგონებათა გროვა საცერში სულ იკლებდა, ოღონდ ქვიშის ბორცვი მიიწევდა სულ უფრო მაღლა.

„თვალთშეუდგამი უდაბნოა, — გაიფიქრა ვაჟმა, — არც ერთი ოაზისი თვალსაწიერზე“.

ამის გაფიქრებაზე ქალი შეთრთოლდა.

— მაშ, რას იტყვით? — კვლავ ჰკითხა ვაჟმა.

— საოცარია, — ჩაიღულღულა ბოლოს დედაბერმა, — რატომღაც ახლა ოცდაოთხ საათში — სულ ერთ დღე-ღამეში — ათი ათასი მილიონი წლის გაცვლა მართალ, ჭეშმარიტ და კეთილ საქმედ მომეჩვენა უეცრად.

— ასეა, კლარინდა, ეს ხომ ნამდვილად ასეა!

გასრიალდა ურდულები, აჩხაკუნდა კლიტეები, გაჭრიალდა კარი. წამით გაიელვა ხელმა, ბოთლი აიტაცა და გაუჩინარდა.

გავიდა ერთი წუთი.

შემდეგ ტყვიამფრქვევის ჯერივით ახმაურდა ნაბიჯები სახლში. უკანა კარი გაჯახუნდა, ზედა სართულის ფანჯრები ისე მოსხლეტით გაიღო, რომ დარაბები მოირყა და ბალახებში ჩაცვივდა. ერთი წამის შემდეგ იგივე ბედი ეწია ქვედა სართულს, — ძლიერმა ბიძგმა ნაფოტებად აქცია დარაბები. ფანჯრებიდან მტვრის ბუქი ავარდა. ბოლოს, ფართოდ გაღებული წინა კარიდან ცარიელი ბოთლი გამოქანდა და ქვაზე დაიფშვნა.

და აი, პარმაღზე თვითონ ის დგას — ჩიტივით მოფრთხიალე, ერთიანად მზის სხივებში გახვეული. თითქოს განათებულ სცენაზე იდგა, კულისების სიბნელიდან ახლად გამოსული. შემდეგ კიბეს დაუყვა ქვევით და ხელი გაიწოდა ვაჟის ხელის შესახვედრად.

გზაზე მიმავალი პატარა ბიჭი შეჩერდა, ქალს მიაჩერდა, თვალგაშტერებულმა სულ უკან-უკან დაიხია და თვალს მიეფარა.

— რად მომჩერებოდა ასე? ლამაზი ვარ? — იკითხა ქალმა.

— ძალიან ლამაზი.

— სარკეში მინდა ჩავიხედო.

— არა, არა, არ გინდა!

— ქალაქში ყველას მოვეწონები? ეგებ მე მხოლოდ მეჩვენება? იქნებ შენც მატყუებ?

— მშვენიერება თვითონ შენ ხარ!

— მაშ, ლამაზი ვყოფილვარ. მეც ასე ვგრძნობ. როგორ გგონია, ყველა მოისურვებს ამაღამ ჩემთან ცეკვას? შეეცდილებიან კაცები ერთმანეთს?

— ყველანი უკლებლივ.

ფუტკრების ზუზუნითა და ფოთლების შრიალით ავსებულ ბილიკს რომ მიუყვებოდნენ, ქალი უეცრად შედგა, ზაფხულის მზესავით შეხედა ვაჟს სახეში და ჰკითხა:

— ოჰ, უილი, უილი, ყველაფერი რომ დამთავრდება და ისევ უკან დავბრუნდებით, ასეთივე კეთილი იქნები ჩემთვის?

ვაჟმა ღრმად ჩახედა თვალებში, თითებით ლოყას მიეალერსა.

— ჰო, — მიუგო ნაზად. — ვიქნები.

— მე მჯერა შენი, მჯერა, უილი.

ისინი ბილიკზე გაიქცნენ და თვალს მიეფარნენ. უკან მოიტოვეს აბუქებული მტვერი, მოშლილი ფეხული სახლი, ფართოდ გაღებული კარ-ფანჯრები. ახლა მზეს შეეძლო თან შეჰყოლოდა სახლში ჩიტებს, ბუდის ასაშენებლად და ბარტყების დასაჩეკად რომ შეფრთხილდნენ შიგნით. ზაფხულის მშვენიერი ყვავილების ფურცლებს შეეძლოთ საქორწინო წვიმად ეთქორათ და ხალიჩებით მოეფინათ მაღალი კედლები, ოთახები და მომლოდინე ცარიელი საწოლი. ზაფხულის სიომ დარბაზები აავსო და სამყაროს შექმნის პირველი წუთის სურნელით გაჟღინთა — იმ წუთისა, როდესაც სამყარო მთლად ახალთახალია, ჯერ ხელყოფილი არაფერია და არც სიბერისა იციან რამე.

სადღაც, — თითქოს აჩქარებული გულები ძგერსო, — კურდღლები გარბოდნენ ტყეში.

შორს მატარებელმა დაუსტვინა, ქალაქისკენ დაიძრა და თანდათან სვლას უმატა; სულ უფრო სწრაფად, სწრაფად, სწრაფად.

მოთხრობის გზამკვლევი

ადამიანი ყოველთვის ფიქრობდა სიკვდილზე და თითქმის ყოველთვის ეშინოდა მისი – გაურკვეველი იდუმალება ხომ ანგრევს კაცის ცნობიერებას. ეს შიში იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ რწმენის ძალამაც კი ვერ გააქარწყლა მისი საბედისწერო მნიშვნელობა. კაცობრიობას ღმერთის სწამს, მაგრამ სიკვდილს მაინც უფრთხის – ძალიან ცოტანი არიან გამონაკლისნი (ვაჟა-ფშაველას გასაოცარ ფრაზას – „ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო, სიცოცხლე შენობს შენითა“ – კიდევ უფრო ცოტანი სწვდებიან).

რეი ბრედბერის მოთხრობა სიკვდილის ფარდობითობაზე გვესაუბრება. ეს უცნაური საუბარია, თუკი გავითვალისწინებთ, რომ მასზე (სიკვდილზე) აბსოლუტური ადამიანისთვის არც არაფერია. ფარდობითობას ხომ რაღაც ერთი არსების „სხვადქმნა“ სჭირდება – განა სიკვდილს რამდენიმე სახე შეიძლება ჰქონდეს? – ჩვენ ხომ მის ერთ გამოვლინებაზეც კი არ გვაქვს მკაფიო წარმოდგენა.

მწერალი სიკვდილის ფარდობითობას დროის იდუმალი გარდასახვით გვიჩვენებს. „დრო“, ამ შემთხვევაში, კარგი ტესტია – ადამიანის გონებისა და, მითუმეტეს, გულისთვის ის უფრო ადვილად და თვალსაჩინოდ შეიძლება „რაღაც სხვად“ გარდაისახოს, ვიდრე სიკვდილი.

სოფლის განაპირას მცხოვრები ოთხმოცდაათ წელს გადაცილებული ქალი მთელი სიცოცხლე სიკვდილს ემალება, რომელსაც ყველასა და ყველაფერში ხედავს. მის მტკიცედ დაგმანულ სახლში ვერც ერთი „უცხო“ ვერ შეაბიჯებს – ქალი საარაკო გულმოდგინებით დარაჯობს საკუთარ სიცოცხლეს. სოფელი ამას შეეჩვია და ზოგჯერ წლები ისე გაივლის, მას არავინ აკითხავს. აქ ისიც სჯერათ, რომ დედაბერი არასდროს მოკვდება.

ერთ დღეს „უსიკვდილო“ ქალთან თეთრებში გამოწყობილი ჭაბუკი მივა, რომელსაც ლანდი არ აქვს. მას მწვანე სითხით ავსებული პაწაწინა ბოთლი ეჭირა („ამ ბოთლშია პირველი ღამე და პირველი დღე იმ წუთის შემდეგ, როცა თქვენ თვრამეტი წელი შეგისრულდათ“). დედაბერი ფრთხილობს და ჭაბუკის წინადადებას („ერთი ჩაის კოვზით მიიღეთ ბოთლში დამწყვდეული მწვანე ფიქრები“ და ეს თქვენი ცხოვრების საუკეთესო დღეს დაგიბრუნებთო) ეჭვით უპასუხებს: ეს მე მომკლავს. თეთრებში ჩაცმულის პასუხია: „ეს თქვენ მკვდრეთით აღგადგენთ“.

სადღაა აქ სიკვდილის ან სიცოცხლის აბსოლუტურობა? თუკი შეიძლება მთელი ცხოვრებით ერთი ყველაზე ბედნიერი დღე „იყიდო“, სადღაა მაშინ დრო? ეს ერთი დღე შესაძლოა მარადისობას გაუტოლდეს (ჭაბუკი ქალს ჰპირდება, რომ მასთან დარჩება ათი ათასი მილიონი წელი) და რას მოვა მასთან თუნდაც ოთხმოცდაათი წელი?!

კითხვაზე, რატომ დაიმალა ამ სახლში დიდი ხნის წინ, მოხუცი ქალი უპასუხებს: „ადრე სიცოცხლის მეშინოდა, მერე – სიკვდილის“. ეს შიში მას ზოგადად ცხოვრებაზე და ბედნიერებაზე უარს ათქმევინებს – ამის გარეშე კი ადამიანი არაფერი და არარაობაა. ამიტომ არის მისთვის ასე ნაკლებსევდიანად გასაცვლელი ყველაფერი დანარჩენი – მათ შორის, უპირველესად, უსიკვდილო არსებობა – ერთ ბედნიერ დღეში. არარაობის მარადისობა ხომ მომხიბვლელი არ შეიძლება იყოს.

მოთხრობის ბოლოს თეთრებში ჩაცმული ჭაბუკი, რომელიც დედაბერს სიკვდილი ჰგონია, საკუთარ სახელსაც შეიძენს – ქალის ახალგაზრდობისდროინდელი კაცის სახელს. ეს ლოგიკური ფინალია – ვინც რა უნდა იფიქროს თუ განიცადოს, ადამიანის მარადისობასთან წარმდგენი მხოლოდ სიყვარულია.

